საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია № 193 სამშაბათი, მარტის 13 (26) 1918 წ. № 193

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ტრაპიზონის საზავო მოლაპარაკება ორი დღით [illegible].—საზავო პირობების შესამუშავებლად ტფილისში ჩამოვიდნენ ამ.-კავკ. დელეგაციის წარმომადგენელნი.——ამავე მიზნით სტამბოლს გაემგზავრნენ ოსმალთა დელეგაციის წარმომადგენელნი.——ბათომში მოჰკლეს კომისარი ევ. კრინიცკი.——კაგკავი ბოლშევიკებმა აიღეს.——შესდგა ამიერკავკასიის მინისტრთა კაბინეტი.

განცხადების ფასი: პეტიტის სტრიქონი [illegible] ღირს 50 კაპ. [illegible] კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი [illegible] ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. [illegible] განცხადების ზომაზე დამოკიდებული: 15×2 [illegible] 20×2 ღირს 12 მან., [illegible] განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმე" [illegible] „ნადუღდი") [illegible] ქუჩა, სახლი № 14 და ეღირება ორი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

[illegible] და [illegible] განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ[illegible] [illegible] გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სრულ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., ხარაჯიშვილის ს. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакмэ", поч. ящ. 190.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 35 კაპ.

ტელეფონი 12—29

გაზეთი „სახალხო საქმე" ღირს:

ერთის თვით 4 მ. 50 კაპ., 3 თვით 13 მ. 15 კ., ნახევარი წლით—27 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 30 კ., რკ. გზის სადგურებზე 35 კ.

ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, საღამოთი 5—7 საათ., ფოსტით ასე: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „სახალხო საქმის" რედაქციას.

მწუხარე [illegible] გიორგის ასული წილოსანი, [illegible] ნიკოლოზის ასული და ლევან ლუარსაბის ძე ერისთავი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ოთხშაბათს, 14 მარტს ერთი წელი შესრულდება, რაც სპარსეთის ფრონტზე მოჰკლეს პირველის შვილი, მეორის ძმა, ხოლო მესამის ცოლისძმა, „ვოლნოოპრედელიაუშჩი" პირველი ქართული ცხენოსანი პოლკისა

იოსებ (სოსო) ნიკოლოზისძე წილოსანი

რისთვისაც დიდუბის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი. პანაშვიდი დაიწყება დილის 11 საათზე ს. 305

გულდამწვარი მეუღლე დარია ალექსის ასული და შვილები, ვასილ, ზაქარია, ილია, ნატა, მინადორა, ზენა, ფეფო და თამრო ცალქალამიძეები, გულითადის მწუხარებით, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ვერაგულად მოკლულს კავთისხევში

ისააკ ნიკოლოზის ძის ცალქალამიძის

303

აგარაკი წაღვერი

(ბაკურიანის რკ. გზის, ბორჯომიდან 12 ვერსზე)

პანსიონი ელისაბედ მღებრიშვილისა

(მეთორმეტე სეზონი)

პანსიონი მოთავსებულია ახლად აგებულ შენობაში, მაღალ და განცალკევებულ სუფთა ადგილს, ფიჭვ ნარგავში, ყოველგვარი მოწყობილობით. პანსიონთან იმყოფება [illegible] გამოყვანილი წყაროს წყალი. არის ვანები, პიანინო და სხვ.. სახლიდან მოჩანს საუცხოვო სანახაობა.

აგარაკზე წაღვერში მომდინარეობს მეტად სასარგებლო მჟავე (რკინის) წყალი.

პირობების გაგება შეიძლება [illegible] წერილით: Цагвери (черезъ Боржомъ) Елизаветѣ Яковлевнѣ Мгебришвили). 1106

ღვინო

ღვინის ბარათები იძლევა ორი თვით, ღვინის ბარათების ტალონები ნოემბრის, დეკემბრის და იანვრისა გამოსადეგია მარტს, აპრილს და მაისში. ღვინის ბარათები მიეცემათ მესამე სერიის (აპრილის, მაისის და ივნისის) სასურსათო ბარათების წარდგენის შემდეგ.

1101 **საბარათო სისტემის განყოფილება ქალაქის გამგეობასთან.**

ტფილისის ქართველ ვაჭართა და მრეწველთა დროებითი საბჭო

აცხადებს, რომ საქართველოს ეროვნულ საბჭოს და ვაჭართა და მრეწველთა კავშირის სასარგებლოდ შემოწირულების გაწერა უკვე დამთავრებულია, სიები დამზადებულია. ვაჭრები და მრეწველები ვალდებულნი არიან მათზე გაწერილი ფული დაუყოვნებლივ შემოიტანონ, რადგან იმ განსაცდელის დროს, რომელშიდაც ჩვენი ქვეყანა იმყოფება, ყოველივე დაგვიანება დანაშაული იქმნება.

გაწერილი ფულიდგან ოთხმოცდა ათი პროცენტი (90%) გადაეცემა ეროვნულ საბჭოს, ხოლო 10% ვაჭართა და მრეწველთა კავშირს.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება საბჭოს თავმჯდომარე ნ. წვერავასთან და აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ალ. ლორთქიფანიძესთან.

ფული უნდა იქმნას შეტანილი ამიერკავკასიის ბანკში საბჭოს მიმდინარე ანგარიშზე № 346. 1099



დიდი ცირკი ძმ. ეფიმოვებისა

[illegible] ტელეფ. 19—09.

დღეს 13 მარტს გამართება

დიდი [illegible] წარმოდგენა

[illegible] კაბარე კაფეშანტანი [illegible] 3 [illegible]: 1) [illegible] და ჩურკინი; 2) [illegible] და მანკა, 3) [illegible] იწყება 8 ს. დასასრული 11 ს.

შაქარი და ნავთი

მარტის 12-დან ყველა უბნის საბარათო ბიუროში მისცემენ სასურსათო (შაქრის, ნავთის და სხვ.) ბარათებს, მე-3 სერიისა, აპრილის, მაისის და ივნისისა.

სასურსათო ბარათები [illegible] სახლის კომიტეტებს მიეცემა.

სასურსათო ბარათების [illegible] სახლის კომიტეტებმა ძველი სასურსათო ბარათები უნდა წარმოადგინონ [illegible] სახლის წიგნი და სახლის სარეგისტრაციო ფურცელი. [illegible] ცნობებისათვის სახლის კომიტეტები პასუხისმგებელი [illegible].

ქალაქის გამგეობის საბარათო განყოფილება.

1918 წლის 9 მარტი. 1104

ტფილისი, 13 მარტი 1918 წ.

ეროვნული ომი.

[illegible] ზავით არის [illegible] სებული, [illegible] დღევანდელი რევოლიუციის კრიზისია, რევოლიუციის [illegible]. ყველა სოციალისტურ პარტიას სწამს, რომ [illegible] ლაზე უმჯობესი [illegible] დორიანობის ჩამოგდებით, [illegible] აღმოფხვრით. [illegible] თუ ძალა შეგვწევს [illegible] ლის გულზე—[illegible] მოლეს [illegible]. საქართველოს [illegible] სტთა პარტია [illegible], [illegible] და იქნება [illegible] სტული, [illegible] ეკონომიურ [illegible] დღეს [illegible] გერის ყოველ ჯარისკაცს [illegible] ხალხს [illegible], რომ არ შეგვიძლია [illegible] მშვიდობიანობა [illegible]. [illegible] წინადადება მშვიდობიანობა კი არ არის, ჩვენი დამონავება და ოსმალეთის გაბატონებაა, ოსმალეთის საზავო პირობები რევოლიუციის დამარცხებაა, მოპოებულ თავისუფლების განადგურება, ჩვენი [illegible] ჩანთქმა, [illegible] იგი [illegible] იმ მიზეზებისა, [illegible] ნობას იწვევენ.

დღეს [illegible] არ ეწინააღმდეგება. [illegible] და [illegible]—სამშობლოს, მტრები [illegible] რეობაში [illegible] ამ საფრთხეს, [illegible] საქმე, სახლის [illegible] და [illegible] რებენ ყოველ [illegible].

ასეთ პირობებში [illegible] ჩვენ არასოდეს არ [illegible] გამოიხატოს ჩვენი [illegible] და ეკონომიური ძლიერების [illegible], [illegible] დავინახოთ ქვეყნის [illegible], [illegible] სამშობლოს, [illegible] თუ მონები შევიქმნებით [illegible] ჩვენებით.

კარგია თუ საზავო მოლაპარაკებამ მშვიდობა მოგვიტანა, ჩვენ პირველი [illegible] სალამს ოსმალეთის დემოკრატიას [illegible] მიღებული ცუდი [illegible] თუ გამართლდა, თუ ოსმალეთის იმპერიალისტების ანკესს წამოგებული [illegible] ტიტველი და მშიერი ოსმალეთის დემოკრატია, ჩვენ მერე დავინახეთ რომ დემოკრატიას და [illegible] დავაპირისპირებთ ჩვენს დემოკრატიას. [illegible] სამშობლოს მონობა [illegible] დემოკრატიისა კიდევ [illegible] მონობა საქართველოს დემოკრატიისა. საქართველოს [illegible] თავისუფლებისათვის ჩვენ [illegible] ენერგიას, ჩვენ [illegible] და კვლავ დავან[illegible] ეროვნულ და სოციალურ [illegible] თავისუფლებისათვის. დღე [illegible], რომ [illegible] დღეს ქართველ [illegible] გასაჭირში ქართველ [illegible] იარაღით და მამულით, [illegible] დღეს ერის თავისუფლება [illegible] სიცოცხლის [illegible]—[illegible] ერის მოღალატე, სამშობლოს მოღალატე, რამდენიც არ უნდა იყვირონ კლუბსა და გაზეთში სამშობლოს სიყვარული.

ჩვენ ძალიან კარგად ვიცით მძიმე მდგომარეობა საქართველოსი. ძალიან კარგად ისიც ვიცით, რომ ობიექტიურ [illegible] მნიშვნელობა [illegible] მომენტებს [illegible] მიაპოებინებ [illegible], რომელნიც მიკიბულ-მოკიბულ არგუმენტებით ახლებენ [illegible] ენერგიას, არიან [illegible] ჯგუფები, რომელნიც [illegible] არიან [illegible], ძველი წყობილების [illegible], რათა ხალხის [illegible] გადავიდეს და [illegible] საქა[illegible] მტერს. [illegible] დემოკრატიამ და [illegible] და სთქვას [illegible] ეროვნული, მაგრამ [illegible] დემოკრატიისა, ომი [illegible] თავისუფლებისათვის, [illegible] ჩვენ, სო[illegible] დაგვაწვევ[illegible], [illegible] ჩვენ [illegible] ვინ არის ჩვენთან და ვინ არ არის ჩვენთან, [illegible] მხურვალე პატრიოტიზმით და რევოლიუციური [illegible] ანთებული ხალხი [illegible] ოსმალეთის შრომა დემოკრატიას, საქართველოს აღფრთოვანება და სა[illegible], ეროვნულ ომის წარმოება არ ჩაივლის უნაყოფოდ და ხალხს მოუტანს უკეთეს მომავალს.

ჩვენ დავინახეთ რა მოუტანა რუსეთს ბოლშევიკების არჭარებულმა მოქმედებამ, დავინახეთ ისტორიის მრავალს მაგალითში, რომ თავისუფლება ყველას ჭაპან-წყვეტით შეუძენია. დეე ჩვენც ვიტანჯოთ, ვღვაროთ სისხლი და ოფლი, ოღონდ გავამაგროთ რაც რევოლიუციამ მოგვიტანა, ოღონდ ნუ მივცემთ ჩვენ პურ-მამულს მტრის პირსა.

საქართველოს თანამედროვე ომი არის ომი დემოკრატიის მტარვალობის წინააღმდეგ, ხალხმა კლასობრივი ომის წარმოებით და გამარჯვებით მოიპოვა დღევანდელი უმჯობესი საზოგადოებრივი და ეკონომიური პირობები. იცოდეს საქართველოს დემოკრატიამ, რომ ოსმალეთთან ომში ქართველ ხალხის გამარჯვება ხალხის [illegible] კიდევ უფრო განამტკიცებს, გააკაჟებს რევოლიუციას, შეინახავს უფლებას, გაუფართოვებს წარმოების ასპარეზს, მისცემს მიწას და ყოველ სიმდიდრეს.

რევოლიუციაში ბრძოლით მოვიპოვეთ თავისუფლება, მაგრამ თუ გავიმარჯვეთ მტარვალებთან ბრძოლაში—მოვიპოვებთ ეკონომიურ თავისუფლებასაც. შემოვკრიბოთ მთელი ძალა ქართველნი, მამულიშვილნი, გულწრფელი დემოკრატნი და წმინდა სურვილების ხალხი არც სახელს დაკარგავს და არც მამულს.

დრო არ ითმენს, ვემზადოთ ეროვნულ ომისთვისათვის.

ტრაპიზუნდიდან

ვისაც მშვიდობიანობა სწადია, იმისთვის მზად უნდა იყოსო.. ეს ძველი რომაელების თქმულება ისე არასოდეს გვიგებიხია, როგორც ვიგრძენით საზავო მოლაპარაკებისთვის ჩამოსულებმა აქ ტრაპიზუნდში. ჩამოვედით უკეთილშობილესი მისწრაფებებით, გულწრფელობით, მაღალის დემოკრატიულის იდეალებით. შეიძლება დედამიწაზე არავინ იყოს, ვისაც ჩვენსავით სწყუროდეს და ენატრებოდეს მშვიდობიანობა, ყველასთან მორიგება, კეთილი ადამიანური ურთიერთობის დამყარება.

მაგრამ ყოველივე ეს მეტად მსუბუქი გამოდგა საერთაშორისო სასწორზე, სადაც დღეს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ერთად ერთს ძალას, ფიზიკურს მომზადებას, იარაღს. პირველად გამოვედით დიპლომატიურ სარბიელზე და მწარედ განვიცადეთ, რომ აქ სხვა ენაზე ლაპარაკობენ, სხვა საფუძველზე ამყარებენ მოთხოვნილებას. სხვა საზომით სწყვეტენ საზავო საკითხებს. ჩვენი რაინდული გულწრფელობა აქ ღიმილს იწვევს, ჩვენს უმართლესს უფლებას ჯარის დარაზმით აბათილებენ, ჩვენს წინადადებას, ცამდე სამართლიანს და ყოვლად გონივრულს იმდენად აფასებენ და ანგარიშს უწევენ, რამდენად ჩვენს სიტყვას ბანს აძლევს და ზურგს უმაგრებს ჩვენი სამხედრო მომზადება.

აქ მხოლოდ და მხოლოდ ერთი ენაა, ერთი საზომი: საომარი მომზადება და სამხედრო მოქმედების უნარი. ვინც ამ იარაღით არაა აღჭურვილი და ისე გამოდის საერთაშორისო ასპარეზზე საზავო მოლაპარაკებისთვის, ის თავიდანვე დარწმუნებული უნდა იყოს, რომ საქმეს აუცილებლად წააგებს, სამარცხვინოდ დამარცხდება...

თუ ეს ამდენ ხანს ნათელი და გარკვეული არ იყო ჩვენთვის, ამიერიდან მაინც უნდა შევიგნოთ საქმეები და თუ ჩვენთვის ძვირფასია სამშობლოს და ეროვნების მცნება, თუ მთელის სიმწვავით გადაშლილია ჩვენს თვალწინ მთელი საშინელება ეხლანდელი განსაცდელისა, თუ მშობელი ქვეყნის საუკეთესო ნაწილის—ბათომის ოლქის ძალმომრეობით ჩამოგლეჯა სიკვდილის მომასწავებელია ჩვენი ხალხისთვის,—უნდა ერთ მძლავრ ჯარად იქცეს მთელი საქართველო, მთელი ქართველი ერი უნდა აღსდგეს ვით ერთი ადამიანი და არავის დაზოგოს თავის ქვეყნის დასახსნელად, განადგურებისა და მოსპობისაგან.

არავისათვის საეჭვო არაა რომ ქართველი დემოკრატია უდიდესი პატივისმცემელი იყო და არის ყველას ღირსების და თავისუფლების, მაგრამ უნდა გაიგოს ყველამ ისიც, რომ არავის მივცემთ ნებას ხელი შეახოს ჩვენს წმინდათა-წმინდას. ქართველი დემოკრატია არასოდეს მოაწერს ხელს თავის სიკვდილის განაჩენს და უმალ შეაკვდება მტერს, ვიდრე შეურიგდება თავის სხეულის დასახიჩრებას.

ყოველი ქართველი უნდა განიმსჭვალოს დიადი ისტორიული მომენტის ღრმა შეგნებით. საქართველოს ბედი წყდება. ჩვენი მომავალი უნდა გამოიჭედოს მაგრად ან უნდა დაიმსხვრეს ერთიან. მტრებს სწადიათ რამდენიმე საუკუნით უკან დასწიონ ჩვენი ცხოვრება და დასეტყვილი და დანაწილებული მიაგდონ სრული უძლურების და მონობის მორევში, საიდანაც ვეღარასოდეს შესძლებს ამოსვლას. საქმეს უნდა შევხედოთ ცხადად და დავინახოთ მთელი სიგრძე-სიგანით. აქ მარტო ტერიტორიის ნაწილის დაკარგვის საკითხი არაა, აქ სასწორზე შეგდებულია მთელი არსებობა ერისა, მისი კულტურა, შემოქმედება, განვითარება. ქართველი ერის ტრაგედია იყო მრავალი საუკუნის განმავლობაში სპარსეთის და ოსმალეთის აგრესიული პოლიტიკა, რომელმაც სამარის კარამდე მიიყვანა, და რომელსაც ძლივს—ძლივს დააღწია თავი. ეხლა ამ ტრაგედიის აღდგენას გვიმუქრებიან უფრო მეტის დახელოვნებით, მეტის სიმწვავით, გაევროპიელებულ იმპერიალისტურ სიმკაცრით!..

განა არ იცით [illegible] ეს [illegible] სამშობლოში დარჩენილებმა? განა არ განიცდით, არ გრძნობთ, არ ხედავთ?

მაგრამ კიდევ და კიდევ მთელის თქვენის არსებით, ფხიზელის თვალით და გონებით ჩაუკვირდით ჩვენს მდგომარეობას, იმას, რომ უფსკრულის პირას ვართ, რომ საჭიროა უდიდესი ენერგია, თავის გამოდება, სიმხნევე, მოქმედება, ხსნა არის, არ დავიღუპებით. მხოლოდ ეს ხსნა თქვენს საკუთარ ხელთ არის. ჩვენი იმედი ნუ გაქვთ, ზავი შორს არის, ოსმალეთის ძალით უნდა ჩვენთან ანგარიშის გაწორება და გახსოვდეთ ყოველ წამს, რომ აქ ტრაპიზუნდში [illegible] ხმას იმდენად აქცევენ ყურადღებას, რამდენად ამ ხმაში მოისმით [illegible] ზარბაზნების გამწვარებული კვნესა და მწყობრი ჯარების [illegible].

ნუღარ იქნება დღეს ქართველ ერში ისეთი, რომ გმირულად არ შეასრულოს თავისი უდიდესი მოვალეობა სამშობლოს ყოფნა-არყოფნის [illegible]. [illegible] ეწამოს ყველა, მაგრამ ნურავინ [illegible] ტოვებს თავის პოსტს და [illegible] შებრძოლოს მამულის დაცვის საქ[illegible]

სიკვდილი შეუბრალებელი იმას, ვინც ბღალავს მშობელი ხალხის თავისუფლებას, ვინც ეურგულებს დღეს მამულს!

ზავი, მშვიდობიანობა, კეთილ-მეზობლური ურთიერთობა—ეს გვწყურია, ამას ვილცნებობთ, ამას ვცდილობთ ყოველის საშუალებით, მოთმინებით. მაგრამ თუ ამაო იქნა ჩვენი ცდა,—მაშინ ერთიღა დაგვრჩენია—ბრძოლა საქართველოს არსებობისათვის, ან სიკვდილი ან თავისუფლება!

ხამ. ფირცხალავა.

ტრაპიზუნდი, მარტის 9 (22.

ჭეშმარიტების ძიება თუ ლანძღვა-გინება

ქართველ ერის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ისტორიამ სოციალ-დემოკრატიას არგუნა; ამიტომ ც უნ დღეს ყოველ [illegible] და პოლიტიკურ [illegible] ს.-დემოკრატიის მოქმედებას, რომ მასში ჩავარდნილი შეცდომა ერის [illegible] არ გადაიქცეს. ასეთია სულ უბრალო და ყველასთვის გასაგები მიზეზი ჩვენი ს. დ. კამათისა. რომელსაც ერის ბედი დაუკავშირებია პარტიის ბედთან, პარტია იძულებულია განსაკუთრებული სიფრთხილით აირჩიოს ესა თუ ის გზა, უდიდესი [illegible] ჭეშმარიტების ძიების სურვილით.

უსაფუძვლოა გაზ. „ერთობის“ ამ ბოლო დროს ხშირად განმეორებული განცხადება, რომ ჩვენ თითქოს სხვა მოსაზრებებით ვხელმძღვანელობდეთ როდესაც ს.-დ. ვეკამათებით. ტყუილი ჩვენი შეკამათებისა განიზომება იმ გარემოებით, რომ ქართველ ერის დაღუპვა თუ გადარჩენა დამოკიდებულია თქვენს მოქმედების სისწორეზე თუ შეცდომაზე. ქართველ ერის ბედი რომ ერთიორად იყოს დაკავშირებული სხვა რომელიმე პარტიის ბედთან, ჩვენ მაშინაც ისე მაღლა დავიჭერდით სახეთ ჩვენი კრიტიკისა, მაშინაც ისე მკვეთრი იქნებოდა მახვილი ჩვენი პოლემიკისა. ეს ასე მოხდებოდა, რადგან ჩვენი მიზანი, არა სოც.-დემოკრატიის დაცემა, არამედ [illegible] პარტიად [illegible]—ჩვენი მიზანია ქართველ ერის კეთილდღეობა. ეს ერთი.

ამბობს „ერთობა“, რომ ძალიან ხშირად ჩვენ ს.-ფედერალისტები ვიწყებთ იმ პოლემიკას, იმ შეტაკებას, რომელიც სწარმოებს ჩვენსა და ს.-დემოკრ. შორის. მაგრამ ეს ასეც უნდა იყოს, თქვენ უდგეხართ ერის სათავეში, თქვენვე უშვებთ ხშირად, ძალიან ხშირად, შეცდომებს და ჩვენი მოვალეობაა ამ შეცდომებზე მიგითითოთ, რათა ერი დაღუპვის გზით არ წაიყვანოთ. რომ პოლემიკა და ჩვენს შორის ბრძოლა არ იყოს სამი რამ უნდა მოხდეს: 1) ან თქვენ მუდამ შეუცდომელი უნდა იყოთ, 2) ან ჩვენ თქვენს შეცდომების დანახვაზე უნდა ვდუმდეთ, 3) ან თქვენ თვითონ აღიაროთ საკუთარი შეცდომები.

აღიარებთ თქვენს თავს მუდმივ შეუცდომლად? თუ ჰოს იტყვით, მაშინ უნდა შეეცადოთ რომის პაპა შეაცდინოთ, რომ მან მეტოქეობა არ გაგიწიოს. შეიძლება ჩვენი გაჩუმება, როდესაც თქვენი შეცდომების [illegible] ქართველი ერი სამუდამოთ [illegible] პირიდან დედამიწისა რა თქმა უნდა არა, თუნდაც ამით განუსაზღვრელი რისხვა დავიმსახუროთ, აწიოკებისა და დაჭერის საგანი შევიქნეთ, ტალახში ამოვყაროთ ჩვენი რევოლიუციონური დროშები [illegible] ჩვენს [illegible]. [illegible] ჩვენ, [illegible] ქართველი ერი.

რაც შეეხება თქვენს მიერ შეცდომების აღიარებას, ამაზე არაფერი ვიცით, რადგან [illegible] თუ რამდენად ეს შეესაბამება თქვენს ჩვეულებას.

სანამ ეს სამი მიზეზი იქნება, ჩვენ შორის ბრძოლა მუდამ იქნება: ამ ბრძოლის საბაბი ჭეშმარიტების ძიება, მიზანი ქართველი ერის კეთილდღეობა. მაგრამ თქვენ საუკეთესოთ არ გიყვართ კრიტიკა, რადგან არ გიტაცებთ ჭეშმარიტების ძიება.

ჩემს წერილს „ორი გზა“ „სახალხო გაზეთში“ მოთავსებულს „ერთობა“ მხოლოდ გინებით გამოეხმაურა. წერილი ლანძღვა-გინებით არის სავსე და უზრდელობის საუკეთესო ნიმუშია. „მეოცე საუკუნის მეცნიერის ფილოსოფია, ბ. ნუცუბიძე ტყუილს ამბობს“, „ენა მახვილი და ჭკუა წყლიანი“—ასე იგინება „ერთობის“ ცილაც „თანამშრომელი“ რადგან იცის რომ კუდი საიმედო ადგილას აქვს მოქცეული და ბა „ერთობის“ რაინდები მას ზურგს უმაგრებენ. წერილი რომ ხელმოწერილი იყოს მთელი იქ გამოაშკარავებულ უზრდელობისთვის პასუხის მგებლობა ავტორს დააწვებოდა და ის ყურადღების ღირსიც არ იქნებოდა, მაგრამ ხელმოუწერელ წერილისთვის უ ჰკვე რედაქცია კისრულობს პასუხის მგებლობას და მასთან მთელი ჩვენი ს.-დემოკრატია.

რედაქციას ორი არჩევანი ჰქონდა ან ჭეშმარიტების ძიება, ან ლანძღვა-გინება, სამწუხაროდ რედაქციამ მეორე გზა აირჩია და ლანძღვა-გინება ვაჟკაცობის სარბიელად გაიხადა. უნდა გამოვტყდეთ ჩვენ სუსტნი ვართ ამ სარბიელზე და „ერთობას“ ვერ გაუმკლავდებით მაგრამ ნუ ფიქრობენ „ერთობელები“, რომ ლანძღვაში გამარჯვებით თავდება საქმე. კეთილ ინებეთ, მოქალაქენო და სადავო საკითხების ლანძღვით და ლათაიებით გადაწყვეტა ნუ ლამობთ. ჩვენ ერთხელ კიდევ მოგიწოდებთ ჭეშმარიტების ძიებისაკენ, დაიჯერეთ, რომ თქვენ მთავრობა ხართ, ან შეიგნეთ, რომ ჭეშმარიტება სავალდებულოა დემოკრატიულ მთავრობისათვის და ულათაიოთ, უგინებოთ გვიპასუხეთ სადავო საკითხებზე:

1) ააცდინეთ თქვენ თუ არა ქართველი ერი ეროვნულ პოლიტიკის გზას?

2) არი თუ არა ქართველი ერი მომზადებული შექმნილ მდგომარეობის თავიდან ასაცდენად?

ჩვენი თეზისებია: თქვენ ს.-დ. ააცდინეთ ქართველი ერი ეროვნულ განვითარების გზას და ამის უკილებელი შედეგია მისი მოუმზადებლობა დღევანდელ მომენტისათვის; ქართველი ერის პოლიტიკა იყო ს. დემოკრატიის პოლიტიკა; თუ დაიღუპა ქართველი ერი ისტორიის და მომავალ თაობის წინაშე პასუხი უნდა აგოს სოც.-დემოკრატიამ.

თუ თქვენ ჭეშმარიტება გაინტერესებთ კეთილ ინებეთ წერილობით, ან ზეპირი კამათის მოწყობით საკითხი გამოვარკვიოთ, რადგან მას დიდი საამდღეო პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს; თუ ეხლაც ლანძღვის გზა აირჩიეთ—ეს იმის ნიშანი იქნება, რომ სათქმელი არაფერი გაქვთ.

შ. ნუცუბიძე.

ტრაპიზონის სამშვიდობო კონფერენცია.

პირველი სხდომა

ტრაპიზონის სამშვიდობო კონფერენცია გაიხსნა 1918 წლის 1 მარტს (ძველის სტილით)—14 მარტს (ახალის სტილით), ნაშუადღევის სამს საათზე თავმჯდომარეობს ოსმალეთის სამშვიდობო დელეგაციის თავმჯდომარე, პირველი რანგის კაპიტანი, სახლვაო დეპარტამენტის შტაბის უფროსი **ჰუსეინ რაუფ-ბეი.** მონაწილეობენ: გარეშე საქმეთა სამინისტროს საიურისკონსულტო განყოფილების გამგე მაჰმუდ-ნუსრედ ბეი, კავკასიის ფრონტის ჯარის სარდლის ექიმი პოლკოვნიკი **ტევფიკ სალიმ ბეი,** გენერალური შტაბის მაიორი ოსმალეთის **ჯარის** კავკასიის ფრონტის საოპერაციო განყოფილების უფროსი **ხუზრეფ-ბეი,** მაიორი **იუსუფ—რიზა-ბეი,** პირველი მდივანი, სტამბოლის უნივერსიტეტის პროფესორი **იზმაილ—გამი ბეი,** ფლოტის პირველი კლასის კაპიტანი **შ.მიდ-ბეი,** თავმჯდომარის ადიუტანტი ადილ ზმანი. ჩვენი დელეგაციის წევრნი: თავმჯდომარე აკაკი ივანეს ძე ჩხენკელი, დელეგატები, სეიმის წევრნი: **ასა ბიძე ჰაიდარ ბეგი, გაჯინსკი მაიდე-ჰასანა, ჰაიდ როგი იოსების ძე, გვაზავა გიორგი, კაჩაზნუნი რუბენი, ლასხიშვილი გიორგი, ხატისოვი ალექსანდრე, შეიხ-ულ-ისლამოვი აკპერი, თარჯიმანოვი** [illegible], დელეგაციის საქმეთა გამგე [illegible], [illegible] გიორგი ხაციშვილი გიორგი და რუბენ მიქელაძე, ექსპერტები: **ფ** [illegible] **სამსონ, ვეზაპელი, პეპრიაევი, ტერ-მინასიანცი** და თავმჯდომარის ადიუტანტი ა. გ. ჩხეიძე.

კრების გახსნისას ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარემ მისალმებით მიმართა ჩვენს სამშვიდობო დელეგაციას. როგორც ოსმალეთის დელეგაციის მისასალმებელი სიტყვა, ისე ჩვენი დელეგაციის პასუხი ჩვენმა ქვეითბუღლიმა იციან, რადგანაც ორივე სიტყვა უკვე დაბეჭდილი იყო გაზეთებში.

მისალმების შემდეგ ორივე დელეგაცია აცხადებს დელეგატთა სიას და ადგენს, მანდატები გადასცეს განსაკუთრებულ კომისიას გასასინჯავად. სამანდატო კომისიაში აირჩიეს ოსმალეთიდან მაჰმუდ-ნუსრედ-ბეი, ხუზრეფ-ბეი რიზა-ბეი, ჩვენიდან გაჯინსკი, გვაზავა და თუმანოვი. კრება შესწყდა და განახლების შემდეგ განაცხადეს, რომ მანდატები გასინჯულია.

ამის შემდეგ ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარე კითხულობს შემდეგ განცხადებას ოსმალეთის მთავრობის სახელით: „ოტომანთა საიმპერატორო მთავრობის დელეგაციას აქვს პატივი განაცხადოს, რომ მთავრობას აქვს წრფელი განზრახვა დაამყაროს კეთილმეზობლური განწყობილება რეპუბლიკასთან, რომელიც ამიერკავკასიაში შექმნის პროცესში იმყოფება. ოტომანთა დელეგაცია სთხოვს ამიერკავკასიის დელეგაციას წარმოადგინოს ზედმიწევნითი დეკლარაცია, რანაირია ფორმა პოლიტიკური და ადმინისტრატიული ორგანიზაცია ზემოხსენებული რესპუბლიკისა, ამასთანავე ერთად ჰკითხულობს, გაკეთებულია თუ არა ყველაფერი, რაც საერთაშორისო უფლების ძალით საჭიროა სახელმწიფოს ჩამოსაყალიბებლად“.

ამ განცხადების შემდეგ კრება სწყდება:

მეორე სხდომა.

მეორე სხდომა სამშვიდობო კონფერენციისა იწყება იმის გამორკვევით, თუ ვის უნდა ეკუთვნოდეს თავმჯდომარეობა. ჩვენი სამშვიდობო კონფერენცია, თანახმად იმ დოკუმენტებისა, რომლებიც ხელთ აქვს (სხვა და სხვა დროს გაგზავნილი დეპეშები), ამტკიცებს, რომ ტრაპიზონი მიჩნეულია **ნეიტრალურ** ქალაქად და ამიტომ თავმჯდომარეობა უნდა ეკუთვნოდეს როგორც ერთი მხარეს, ისე მეორეს. მაგრამ, რადგანაც სამშვიდობო მოლაპარაკების თაოსნობა ოსმალეთს ეკუთვნის, ჩვენი დელეგაცია მხად არის **პირველად** თავმჯდომარეობა დაუთმოს ოსმალეთის დელეგაციას. მაგრამ, რადგანაც ოსმალეთის დელეგაცია სხვანაირად უყურებს საქმეს და ტრაპიზონი ნეიტრალურ ქალაქად კი არ მიაჩნია, არამედ ოსმალეთის ქალაქად, ჩვენი დელეგაცია, კონფლიქტი რომ არ მოხდეს, თავმჯდომარეობას **უთმობს** ოსმალეთის დელეგაციას.

როდესაც საკითხი გამორკვეულად იქნა მიჩნეული, დელეგაცია შეუდგა განცხადებათა განხილვას. ჩვენი დელეგაციის თავმჯდომარემ წაიკითხა განცხადება იმ შეკითხვის გამო, რომელიც ოსმალეთის დელეგაციამ მოგვცა და რომელიც შეეხებოდა საკითხს, თუ რანაირია შინაგანი წესწყობილება ამიერ კავკასიისა და მისი უკლებლივ — პოლიტიკური მდგომარეობა. მკითხველმა უკვე იცის პასუხი ჩხენკელისა. მან გაუწყა ოსმალეთის დელეგაციას, რომ ბოლშევიკების გაბატონების შემდეგ ამიერ კავკასია ჩამოშორდა რუსეთს, შექმნა დამოუკიდებელი მთავრობა და ამიტომ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობა სავალდებულოც არ არის ამიერ-კავკასიისათვის.

ჩხენკელის განცხადების შემდეგ ოსმალეთის სამშვიდობო დელეგაციის თავმჯდომარე მუხლობრივ არჩევს განცხადებას და სხვათა შორის აინტერესებს, როგორ ესმის ჩხენკელს თავისუფალი გამორკვეულება ამიერ კავკასიის ერთა ნებისყოფისა. ჩვენი დელეგაციის თავმჯდომარეს უხერხულად მიაჩნია ამნაირი საკითხების დასმა, რადგანაც ეს ჩვენი შინაური საქმეა. ოსმალეთის სამშვიდობო დელეგაციის თავმჯდომარე განმარტავს, რომ მას აზრადაც არა აქვს სხვის შინაურ საქმეებში ჩარევა, როგორც თვითონ არ მისცემს არავის ნებას ჩაერიოს ოსმალეთის შინაურ საქმეებში, მაგრამ მას მაინც საჭიროდ მიაჩნია იცოდეს, რანაირია შინაგანი ორგანიზაცია ამიერ კავკასიისა. ჩვენი დელეგაციის თავმჯდომარე კვლავ აღნიშნავს, რომ მას შეუძლებლად მიაჩნია ამ საკითხზე პასუხის გაცემა, მაგრამ, თუ ოსმალეთის დელეგაციას ჰსურს იცოდეს, რანაირია შინაგანი წყობილება ამიერ კავკასიისა, იგი მზად არის ეს ცნობები მისცეს კერძო თათბირზე. ოსმალებს იმდენად აინტერესებთ ეს საკითხი, რომ თავმჯდომარე მეორე სხდომას კონფერენციისას ჰხურავს და აცხადებს კერძო თათბირს.

მესამე სხდომა

ტრაპიზონის სამშვიდობო კონფერენციის მესამე სხდომა პირველი სერიოზული სხდომა იყო. ამ სხდომაზე გამოირკვა, რომელი მხარე რანაირისთვალსაზრისით უცქერის ბრესტ-ლიტოვსკის ხელ-შეკრულებას. ოსმალთა დელეგაციის თავმჯდომარეს, საჭიროდ მიაჩნია მოლაპარაკების არსებითად გამართვამდე, ზოგიერთი ადგილები ჩვენი დელეგაციის განცხადებისა გამოირკვეს. ასე, მაგალითად, ჩვენმა დელეგაციამ განაცხადა, ბოლშევიკების გამარჯვების შემდეგ რუსეთში, ამიერკავკასიაში გაჩნდა ახალი დამოუკიდებელი მთავრობა, პასუხის მგებელი ამიერკავკასიის სეიმის წინაშე. ოსმალეთის დელეგაცია სთხოვს ჩვენს დელეგაციას გამოარკვიოს **ამიერკავკასიის ტერიტორიის საზღვრები.** ჩვენმა დელეგაციამ განაცხადა, ამიერკავკასიის მთავრობა, თავისთვის სავალდებულოდ არა სთვლის ბრესტ-ლიტოვსკის ხელ-შეკრულებას. ოსმალეთის დელეგაცია აცხადებს, ჩვენ ძალიან კარგად გვესმის, რომ ორ სახელმწიფოს შორის დადებული ხელშეკრულება სავალდებულო არ არის მესამე სახელმწიფოსთვის, მაგრამ ამისთვის საჭიროა ამნაირმა სახელმწიფომ მიიღოს ზომები, რათა იგი შეიქმნას, თანახმად საერთაშორისო უფლებისა და ამ სთანავე ერთად საჭიროა მისი დამოუკიდებლობა აღიარებულ იქმნას სხვა სახელმწიფოთა მიერ. ამიერ კავკასიის მთავრობამ ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკების დროსაც კი არ მიიღო ზომები, რათა ამიერ კავკასიის დამოუკიდებლობა აღიარებულ ყოფილიყო სხვა სახელმწიფოთა მიერ. ამ აზრის დასამტკიცებლად ოსმალეთის დელეგაციას მოჰყავს ევგენი გეგეჭკორის დეპეშა, რომელშიაც იგი ამბობს, ამიერ კავკასია განუყოფელი ნაწილია რუსეთის რესპუბლიკისა და ამიტომ, საზავო მოლაპარაკების დაწყებამდე, საჭიროა ანგარიში გავუწიოთ რუსეთის რესპუბლიკის სხვა ავტონომიურ ერთეულებს. ამიერ-კავკასიამ მონაწილეობა არ მიიღო ბრესტ ლიტოვსკის მოლაპარაკებაში, როგორც მიიღო უკრაინამ. ესეც იმას ამტკიცებს, რომ ამიერ კავკასია თავისი თავი რუსეთის განუყოფელ ნაწილად მიაჩნდა. მიუხედავად ყველა ამისა, რომ დღემდის ამიერკავკასიაში მხოლოდ რუსის ჯარი იყო, ჩვენ მაინც განვაცხადეთ სურვილი ამიერკავკასიასთან საზავო მოლაპარაკების გამართვისა, რა წამს გავიგეთ, რომ ამიერკავკასიას ჰსურს დამოუკიდებლობის შემოღება, განაცხადა ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარემ.

ამის შემდეგ ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარემ შემდეგი წერილობითი განცხადება წარუდგინა ჩვენს დელეგაციას:

„ოტტომანის საიმპერატორო დელეგაცია ამიერკავკასიის დელეგაციის დეკლარაციას გაეცნო და იმ დასკვნამდე მივიდა რომ ეს დელეგაცია არჩეული ყოფილა სეიმის მიერ, რომ ამიერკავკასიის სახელმწიფოს ფორმაცია არ შესამება საერთაშორისო საჯარო უფლებას და რომ ამ სახელმწიფომ ჯერ დეკლარაცია არ გამოსცა თავისი დამოუკიდებლობის შესახებ. ოსმალეთის მთავრობას გულწრფელად ჰსურს ამიერკავკასიის ერთა თავისუფალი განვითარება, აზრად აქვს კეთილი განწყობილება დაამყაროს ამიერკავკასიის ერებთან და სთხოვს ამიერკავკასიის დელეგაციას, გამოაცხადოს და გამოარკვიოს ოფიციალური ფორმა მთავრობისა, ტერიტორიის საზღვრები სახელმწიფოებრივი ენა და სარწმუნოება; ამასთანავე ერთად სთხოვს გამოარკვიოს, რანაირი პოზიცია უკავია ამ მთავრობას ოსმალეთის იმპერიისადმი“.

ამ განცხადების შემდეგ მესამე სხდომა ტრაპიზონის სამშვიდობო კონფერენციისა შესწყდა.

არეულობა ამიერკავკასიაში

სადახლოდ 6 12 მარტს ჯადელი იუწყება: „ჩამოვედით სადახლოში. საღამოს იყო სროლა, სადგური ჩვენ დავიჭირეთ. ჩვენი მხრიდან დაჭრილია 11 კაცი. სადგურ აირუმზე იმყოფება რაზმი ჩვენდა დასახმარებლად, რომელთანაც დილით დავიჭერთ კავშირს“.

იქიდანვე. 11 მარტს გზის აგენტი ტოგონაძე იტყობინება: „დღეს 11 მარტს 5 ს. 15 წ. № 3 მატარებლის გამოვლის დროს მაჰმადიანებმა თოფის სროლა დაიწყეს. მოკლულია სადგურის მორიგე უფროსი. სადგურის გზა სამი ხაზით დაჭრილია. რკინის გზის მოსამსახურეები წავიდნენ ფეხით სადგურ აშაგა-სერალში.

ახალი ამბავი

◆ **ამიერკავკასიის სამშვიდობო დელეგაციის წარმომადგენლები ტფილისში.** 11 მარტს დილით ბათომიდან საგანგებო მატარებლით ტფილისში ჩამოვიდნენ ტრაპიზონის სამშვიდობო კონფერენციის ამიერკავკასიის დელეგაციის რწმუნებულნი ჩვენი ამხ. გიორგი ლასხიშვილი, რუბენ კაჩაზნუნი და იბრაგიმბეგ ჰაიდაროვი. რწმუნებულთ დავალება აქვთ მოელაპარაკონ სეიმს და ეროვნულ საბჭოებს ზავის პირობების შესახებ. ოსმალეთის დელეგაციის წარმომადგენელნიც გაემგზავრნენ სტამბოლს ოსმალეთის უკანასკნელ პასუხის მისაღებად. საზავო მოლაპარაკება შეწყვეტილია ოთხი დღით, ამ დროს განმავლობაში ტფილისიდან და სტამბოლიდან დელეგაციის რწმუნებულნი უნდა ჩავიდნენ ტრაპიზონს და განაგრძონ მოლაპარაკება. დელეგაციის რწმუნებულები გადმოგვცემენ, რომ სამშვიდობო მოლაპარაკება მართლა შეწყდა რამდენიმე დღით, მაგრამ იმედი ჯერ კიდევ არ არის სავსებით დაკარგული, რომ მშვიდობიანობა დამყარდეს.

◆ **სოც.-ფედერალისტთა სამხედრო რაზმი ბათომში.** 11 მარტს საღამოს ათ საათზე ტფილისიდან საქ. სოციალისტ-ფედერალისტთა სამხედრო რაზმმა ბათომში სამშობლოს დასაცავად გაგზავნა 298 კაცი.

◆ **დაპატიმრება.** 9 მარტს სადგურ აბაშაში დააპატიმრეს ბუღუ მდივანი და ა. გეგეჭკორი, რომელნიც პროპაგანდას ეწეოდნენ მობილიზაციის წინააღმდეგ.

◆ **სოფ. წალენჯიხელთა რაზმი.** ს. წალენჯიხაში შესდგა სამხედრო რაზმი სოციალ.-ფედერალისტთა ორგანიზაციასთან. რაზმი მთავარ კომიტეტის განკარგულებით წავა დანიშნულებისამებრ.

◆ **ყარსის რაიონი.** ქალაქთა კავშირის რწმუნებული დეპეშით იტყობინება, რომ რადგან დიდძალი გამოქცეული მოდის ბეგლი-ახმეტიდან, ყარსიდან და პედიკსატიმლისიდან, ამიტომ დაარსებულია რაიონში სამკურნალო პუნქტები.

◆ **ხონი ჩაეწერა** ქალაქთა კავშირში.

◆ **გამოქცეულნი.** კავკ. ქალაქთა კავშირის თავმჯდომარე ნ. ელიავა ატყობინებს ქუთაისის, გურჯის, ერევნის, ბათომის, განჯის, სამტრედიის, ახალ-სენაკის და ფოთის თვითმართველობათ, რომ ტფილისისაკენ არას გზით არ გამოუშვას გამოქცეულები, რადგან არც ბინა მოიპოვება და არც სურსათი.

◆ **საქართ. ეროვნული საბჭო.** დღეს, ნაშუადღევის 2 საათზე დანიშნულია სახალხო მეურნეობის სექციის კრება (ქუთაის. სადგილ მამულო ბანკის სადგომი, ფრეილ. ქ. № 1), განსახილველია სასწრაფო საკითხები; წევრებს სთხოვენ არ დააგვიანონ.

◆ საქართველოს ეროვნული საბჭო ატყობინებს სიღნაღის მაზრის კომისარს: უკრაინელთა ადგილობრივი რადა იუწყება, რომ სოფელ ბრომას მცხოვრებლების ბოროტი ელემენტები მეტად აწუხებენ უკრაინელ მცხოვრებლებს სოფელ „ელიზავეტოვსკისას“, სიღნაღის მაზრაში, გატყობინებთ რა ამას, აღმასრულებელი კომიტეტი გთხოვთ და გავალებთ მიიღოთ ყველა ზომა, მოიხმაროთ თქვენი გავლენა და მშვიდობიანად მოაწესრიგოთ მეზობელთა შორის დამოკიდებულება და პასუხი გვაცნობეთ.

◆ **შესდგა ამიერკავკ. სიის მინისტრთა კაბინეტი:** პრემიერი და სამხედრო მინისტრი—ევგ. გეგეჭკორი, შინაგან საქმეთა მინისტრი—ნ. რამიშვილი, საგარეო საქმეთა—ა. ჩხენკელი, მიწადმოქმედების—ნ. ხომერიკი, ფინანსთა—კარჩიკიანი, განათლების—უსუბეკოვი, გზათა—ხ. მ.-ასლანოვი, იუსტიციის—ხან-ხოისკი, სურსათის—ა. ხატისოვი, ვაჭრობა-მრეწველობის მ. გაჯინსკი, სახლვაო—ელ. გობეჩია, შრომის—გ. ტერ-კაზარიანი, ფოსტა-ტელეგრაფის—ბებუთოვი, სახელმწიფო კონტროლი—გაიდაროვი, სახელმწიფო მზრუნველობის—ოგანჯანიანი, უპორტფელო—კაჩაზნუნი.

◆ **ბნელი ძალების თარეში სოფლად.** გორის მაზრაში ს. კავთისხევში თავს დაეცენ ისააკ ნიკოლოზის ძე ცალქალამიძეს 9 მარტს ოთხი შეიარაღებული ბოროტ-მოქმედი. თვითონ ისააკ ცალქალამიძეს გაუქმირეს ვინტოვკის ტყვიით [illegible]. [illegible] ოჯახში მყოფი [illegible] და გაუდგენ გზას. ადგილობრივი კომისარის მიერ [illegible] შეპყრობილნი, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ [illegible], მხოლოდ იარაღი აყარეს. საჭიროა ადგილობრივი მთავრობა მეტ ყურადღებას აქცევდეს ნაძირალთა თარეშს.

◆ **რკინის გზის სამშვიდობო დელეგაცია.** რკინის გზის მთავარ კომიტეტის თავმჯდომარემ მალანიამ და ტეხნიკურ კომისიის თავმჯდომარემ კანდელაკის 11 მარტს მიმართეს ამიერკავკასიის კომისარიატს შემდეგი დეპეშით: ტეხნიკურ საგანგებო კომისიამ გააგზავნა ქურთებთან მოსალაპარაკებლად სამშვიდობო დელეგაცია იმის შესახებ, რომ ქურთებმა მიმოსვლას ხელი არ შეუშალონ. მოლაპარაკების შემდეგ ქურთებმა პირობა მისცეს საზავო დელეგაციას, რომ ისინი ხელს არ შეუშლიან რკინის გზის მიმოსვლას მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მიმავალ მატარებლებიდან მათ თოფის სროლა არ დაუწყეს ამის შემდეგ დელეგაცია დაბრუნდა და სადგურ ალაგერთან შეაჩერა ის პოლკ. ვექილოვმა, რამაც დელეგაცია აღაშფოთა. მომენტის სიმწვავის გამო.

რკინის გზის მოსამსახურენი იფიცებიან, ხოლო მთავრობისაგან მოითხოვენ დელეგაციის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას, ხოლო დამაშავეთა დასჯას.

◆ **ე. კრინიცკის მოკვლა** 11 მარტს ბაბილუა დეპეშით ატყობინებს ამიერკავკ. კომისარიატს: „10 მარტს საღამოს 9 ს. 15 წ. ბოროტმოქმედებმა ქალაქში რევოლვერით მოჰკლეს ოლქის კომისარი ევგ. კრინიცკი. მკვლელს ეძებენ“.

◆ **მეაბრეშუმეობის და მეფუტკრეობის კურსები.** კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურთან, მუშტაიდში, 16 აპრილიდან გაიხსნება მეაბრეშუმეობის და მეფუტკრეობის კურსები. მსმენელთა რიცხვი გასაზღვრულია 40 კაცით. კურსებზე ჩაწერა შეიძლება ყოველდღე დილის 10—8 საათამდე, საკუთარ ბინაზე.

◆ **ბოლშევიკური გაზეთი** „ბურევესტნიკი“, რომელიც გამოდიოდა ბათომში დაიხურა.

◆ **ბათომში მიხეილის** სახელობის ციხე—სიმაგრის უფროსმა მდივანმა ქალაქში საალყო წესების გამოცხადების გამო აკრძალა ჯარის-კაცთა და მუშათა დეპუტატების ახლად ამორჩევა.

◆ **მანგლისში გაიგზავნა** საქართველოს ეროვნულ საბჭოს რწმუნებულნი ირ. თაზიშვილი და არონიშიძე, რომლებსაც დაევალათ თანახმად ბერძნების ეროვნულ საბჭოს დადგენილებისა აღადგინონ მცხოვრებლებთა შორის კეთილ მეზობლურ დამოკიდებულება.

◆ **ფოთიდან ქალაქის** მოადგილე კორძაია ამიერკავკასიის კომისარიატს დეპეშით აცნობებს: „ნავთსადგურის ამიერკავკასიისათვის, განსაკუთრებულ მნიშვნელობის გამო დღეს, როდესაც არავითარი მთავრობა არა გვყავს, გთხოვთ საჩქაროდ გადაწყვიტოთ საკითხი ნავთსადგურის სამმართველოს ქალაქის თვითმართველობას გადაცემაზე.

◆ **კავკავის ბედი.** როგორც გვატყობინებენ კავკავი ბოლშევიკების ხელშია, რომელთაც ტფილისისათვის გამზადებული სურსათი ხელში ჩაიგდიათ,

◆ **ბათომის კომენდანტი.** ბათომის კომენდანტად დანიშნულია გენერალი ალ. გედევანიშვილი.

◆ **კ. გამსახურდიას მოხსენება.** კვირას, 11 მარტს, საქ. საეთნოგრაფიო საზ. მორიგ სხდომაზე ბ. კ. გამსახურდიამ წაიკითხა მოხსენება: „ერი თუ რასსა?“ მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ბ. სერგო გორგაძემ და სხვებმა. ავტორს განზრახული აქვს ეს მოხსენება წაიკითხოს ქუთაისში, ფოთში, სენაკში, ჭიათურაში და სხვაგან.

◆ **ქართულ სატეხნიკო საზოგადოებაში** 1. სამშაბათს, 13 მარტს, საღ. 5 საათზე ფრეილინის ქუჩა № 11 შესდგება კრება სატეხნიკო საზოგადოების საბჭოსი. 2. ოთხშაბათს, 14 მარტს, საღ 5 საათზე იქვე დანიშნულია კრება სამთო საქმის სექციის. 3. ხუთშაბათს, 15 მარტს, საღ. 5 ს. შესდგება ჰიდრო-ტეხნიკურ სექციის კრება. 4. პარასკევს, 16 მარტს საღ. 5 საათზე ეროვნულ საბჭოს სატეხნიკო სექციის კრება.

◆ **ქართველ მხატვართა კავშირი.** შაბათს 10 მარტს შესდგა ქართველ მხატვართა კავშირის წლიური კრება.

კრებამ განიხილა კავშირის წლიური შემოსავალი შემოსავალი ყოფილა 33 ათასი მანეთი და გასავალი 15 ათასი მანეთი.

◆ **გომის მემამულეთა სამეურნეო ამხანაგობა გვთხოვს გმოვაცხადოთ:** გაზეთ „ჩვენ რესპუბლიკაში" № 53 აბ. ამბავში იყო გამოცხადებული, ვითომც გომის მემამულეთა სამეურნეო სინდიკატი გასტეხეს და საქონელი გაიტაცეს. ეს ამბავი სიმართლეს მოკლებულია. სინდიკატის ქონება არავის წაუღია. სინდიკატის გამგეობამ ყოველივე საქონელი, გარდა ინვენტარისა, მიჰყიდა გომის რაიონის კოოპერატივთა კავშირს.

გერმანიის იმპერიალიზმი და რუსეთის ფრონტზე ომის გათავება.

(დასასრული*)

სრვ წროის გერმანიაში არა მუშათა კლასი, არა დიდად განვითარებული მრეწველობა განიცდიდა, არამედ და გროვილი კაპიტალი, რომელიც საოცარი სისწრაფით გაიზარდა, ამ კაპიტალის სავსებით მოხმარება გერმანიაში შეუძლებელი შეიქნა.

განვითარებულ კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიურ ცხოვრებას თუ დავაკვირდებით, ერთ ზედმეტად დამახასიათებელ მოვლენას შევამჩნევთ. ეს არის კაპიტალის იმიგრაცია; კაპიტალი სტოვებს თავის სამშობლო ქვეყნის საზღვრებს, არ სურს მოიკალათოს იქ სავსებით და ნელის ნაბიჯით გააფართოვოს მრეწველობის ნაყოფების გასაღება; კაპიტალი იძვრის და მიდის სამოქ ედოთ ჩამორჩენილ, კაპიტალით ღარიბ ქვეყნებში, რათა ადგილობრივ გააფართოვოს საწარმოვო ძალები, ვინაიდან მის განკარგულებაში იქნება ამ ქვეყნების შინაური ბაზარი.

განვითარებულ კაპიტალისტური ქვეყნების კაპიტალის თანდათანობითი იმიგრაცია გამოიხატება საგარეო ვაჭრობაში: შემოტანილი საქონლის ღირებულება ბევრად აღემატება გატანილ საქონლის ღირებულებას. ამით განისაზღვრება მოგება და ჩამორჩენილ ქვეყნებში დაბანდებულ კაპიტალის პროცენტები.

თუ კი მივიღებთ მხედველობაში სამს წელს (1911—1913), შემოტანილ საქონლის ზედმეტ ღირებულების საერთო ჯამი ინგლისისათვის იქნება 3,210 მილიონი მანეთი, საფრანგეთისათვის 1,940 მ. მ., გერმანიისათვის 1,840 მ. მ., ბელგიისათვის 960, ავსტრიისათვის 880 მ. მ. ეს ციფრები გვიმტკიცებენ, რომ ექსპლოატაციის გზაზე გერმანია თითქმის დაეწია საფრანგეთს, ამ მსოფლიო ბანკირს. ეს სწრაფი ზრდა კაპიტალისა, რომელიც სამოქმედო ასპარეზს ეძებდა, იყო მიზეზი გერმანიის აგრესიულ და მოუსვენარ იმპერიალიზმისა და თამამად შეიძლება ვსთქვათ, რომ ამ გარემოებამ გამოიწვია თანამედროვე მსოფლიო ომი.

როგორც გერმანიამ მე-80 წლებში შეიძინა კოლონიები. უმთავრესად აფრიკაში. შეუძლებელია შევადაროთ ერთის მხრით გერმანიის და მეორეს მხრით საფრანგეთის და განსაკუთრებით ინგლისის კოლონიები. გერმანიის კოლონიები დიდი იყო თავისი სივრცით, მაგრამ მეტად ღარიბი ბუნებრივი სიმდიდრით და მათში დამარხულ ეკონომიურ შესაძლებლობით. მათ არ შეეძლოთ გერმანიის კაპიტალის მისწრაფებათა დაკმაყოფილება; პირიქით, ისინი იწვევდნენ ახალ კოლონიების საჭიროებას. ახალ კოლონიების შეძენა კი არც ისე ადვილი საქმე იყო; თავისუფალი ადგილი არსად იყო; ვინც უფრო ადრე გამოვიდა ისტორიულ სარბიელზე, იმათ წინასწრეს დაკავება თავისუფალ ადგილებისა.

გერმანიისათვის ცხადი შეიქნა ის გარემოება, რომ კოლონიების მოპოვება გამოიწვევს არა მარტო სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგობას, არამედ უსათუოდ ომსაც, რომ მხოლოდ ცეცხლითა და მახვილითაა შესაძლებელი მისთვის იმპერიალისტურ მისწრაფებათა განხორციელება. აქედან დასკვნა: საჭიროა შეიარაღება და საბრძოლველად მომზადება. ეს დასკვნა გაბატონებულ კლასებისათვის მით უფრო ადვილი იყო, რომ მილიტარული ხასიათი გერმანიისა შემუშავდა უფრო ადრე, ვიდრე გერმანიის კაპიტალის იმპერიალისტური მისწრაფება: გერმანიის სამხედრო და ეკონომიური სიძლიერე შედეგია იმ გამარჯვების, რომელიც მე-19 საუკუნის მე-60 და 70 წლებში წილად ხვდა გერმანიას ავსტრიასთან და საფრანგეთთან ომის შემდეგ.

ამიტომ იყო, რომ ბურჟუაზიის ფართო წრეებში განმტკიცდა რწმენა, რომ სამხედრო და ეკონომიურ წარმატებათა შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. ამ ნიადაგზე წარმოიშვა გერმანიის ბურჟუაზიის და გერმანიის მთავრობის მჭიდრო კავშირიც. მთავრობამ სიუხვით დაფარა ბურჟუაზიის იმპერიალისტური მისწრაფება, ბურჟუაზიამ კარგათ შეიგნო მთავრობის მილიტარული ლტოლვილება, მილიტარიზმი და იმპერიალიზმი დიდი ხნით გამეფდა გერმანიაში და ამ გარემოებას დიდი გავლენა ჰქონდა არა მარტო ევროპის, არამედ მთელი მსოფლიოს ცხოვრებაზე.

როდესაც გერმანიამ ომი დაიწყო, იმედი ჰქონდა ინგლისის ნეიტრალიტეტისა და ნიშანში ამოიღო რუსეთი და საფრანგეთი. ეჭვს გარეშეა, რომ რუსეთზე და საფრანგეთზე გამარჯვება გერმანიისა ინგლისის დამარცხებასაც მოასწავებდა; მაგრამ ის გარემოება, რომ გერმანიამ თავდაპირველად ომი რუსეთს გამოუცხადა, მოწმობს ამ ორ სახელმწიფოთა შორის ინტერესთა დიდ წინააღმდეგობას. სად და როგორ გადაელობა რუსეთი გერმანიას? რაში გამოიხატება ინტერესთა წინააღმდეგობა?

სულ უბრალო, მარტივი ახსნა რუსეთისა და გერმანიის ანტაგონიზმისა იმაში მდგომარეობს, რომ გერმანიას სურს რუსეთი ვის კოლონიად გადააქციოს. ეს იყო ნათქვამი მსოფლიო ომის დაწყებამდე, ან და, უკეთ რომ ვსთქვათ, მაშინ, როცა ამ ომის ახლო შესაძლებლობას არავინ მოელოდა. 1917 წელს უთავდებოდა ვადა გერმანიასა და რუსეთის შორის 1904 წლის სავაჭრო ხელშეკრულებას. ამ ხელშეკრულების გათვალისწინების შედეგი ნასკვნი: გერმანიას სურს რუსეთი თავის კოლონიად გადაქციოს. დღესაც ამას გაიძახიან. შევჩერდეთ ცოტაოდენი ამ აზრზე.

მართალია, რუსეთი ეკონომიურად საკმაოდ ჩამორჩენილი ქვეყანაა. ეს გარემოება შესაძლებლად ხდის რუსეთის კოლონიად გადაქცევას ეს დებულება სინამდვილესთან ვითომდა ახლოსაა. ამბობენ, შეუძლებელია ამ გვარი მისწრაფება ჰქონდეს გერმანიას ინგლისისა და საფრანგეთის მიმართ. ეს სახელმწიფოები კაპიტალისტურად საკმაოდ განვითარებულია. საჭიროა ვიცოდეთ, თუ რამდენად შეეფერება აღნიშნული მისწრაფება გერმანიისა რუსეთის თანამედროვე ეკონომიურ განვითარებას.

ავიღოთ 1913 წელს რუსეთში ევროპის, კავკასიის და შავი ზღვის საზღვრებით შეტანილი საქონლის რაოდენობა. შეტანილი საქონლის საერთო ჯამში სამრეწველო ნაწარმოებთა რაოდენობა უფრო შესამჩნევ როლს თამაშობს, ვიდრე გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში. შეტანილი საქონლის საერთო ჯამი რომ ავიღოთ, 1913 წ. შეტანილ სამრეწველო ნაწარმოებთა რაოდენობა შეადგენდა გერმანიისათვის—13,7 პროცენტს, საფრანგეთისათვის 19,4, ინგლისისათვის —23,9, რუსეთისათვის კი 38,8 ეჭვს გარეშეა, განსხვავება დიდია რუსეთისა და სხვა სახელმწიფოთა შორის. ეს განსხვავება მოწმობს რუსეთის ეკონომიურ სისუსტეს; მაგრამ თუ კი უფრო დაახლოვებით შევისწავლით რუსეთში შემოტანილ საქონლის რაოდენობას, ღირებულებას, სახეს და შემადგენლობას, არ შეიძლება არ მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ რუსეთში შეტანილ საქონლის უმთავრეს ნაწილს შეადგენს დაუმუშავებელი, ან და ნახევრად დამუშავებული მასალები, როგორც ამას ადგილი აქვს გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში.

საერთო ღირებულება რუსეთში შეტანილ საქონლისა შეადგენს 1220,5 მილიონ მანეთს (1913 წ.) ამავე წელს შეტანილ დაუმუშავებელ და ნახევრად დამუშავებულ მასალების ღირებულება შეადგენდა 600,9 მილიონ მანეთს, ანუ 49,2 პროცენტს. თუ კი რუსეთში შეტანილ დაუმუშავებულ და ნახევრად დამუშავებულ მასალების ღირებულებას მივუმატებთ ღირებულებას იმ მანქანებისას და აპარატებისას, რომელიც რუსეთის მრეწველობას ესაჭიროებოდა, მაშინ საერთო ჯამი შეტანილ საქონლისა მრეწველობის დასაკმაყოფილებლად მიაღწევს 707,3 მილიონ მანეთს, ანუ 58 პროცენტს (1913 წ.)

მაშასადამე, ჩვენ შეგვიძლია თამამად ვსთქვათ რომ რუსეთმა უკვე მიაღწია დამოუკიდებელ მრეწველობის განვითარების ხანას. არა დამზადებული, არამედ თვის მრეწველობის განვითარებისათვის საჭირო მასალები შეაქვს უმთავრესად რუსეთს.

ის შეხედულება, რომ რუსეთი გერმანიის კოლონიას წარმოადგენს, დამყარებულია იმ ფაქტზე, რომ გერმანიიდან შემოტანილ საქონლის რაოდენობას რუსეთში შეტანილ საქონლის საერთო ჯამში საპატიო ადგილი უკავია და დიდ როლს თამაშობს. 1913 წ. რუსეთში შემოუტანიათ 1220,5 მილიონ მანეთად ღირებული საქონელი, გერმანიიდან კი—642,8 მან. ღირებული საქონელი, რაც შეადგენს საერთო ჯამის 52,4 პროცენტს. მაგრამ აქ საჭიროა ცოტაოდენი შესწორება. ნაწილი ამ საქონლისა, შემოუტანია გერმანიას დანარჩენი გამოუგზავნია სახელმწიფოებს. თუ გერმანიის სტატისტიკას დავემყარებით, გერმანიიდან რუსეთში გაზიდული საქონლის ღირებულება არ აღემატება 880 მილიონ მარკას, ანუ 396 მილიონ მანეთს. ეს ჯამი კი ბევრად უფრო ნაკლებია, ვიდრე ზემოდ მოყვანილი. მაგრამ ამ ჯამშიაც არის იმგვარი საქონელი მოხსენებული, რომელიც გერმანელ ვაჭრებს უყიდიათ რუსეთისთვის სხვაგან. გამოვარკვიოთ, თუ რა დამოკიდებულებაა რუსეთში შეტანილი და გერმანიიდან გატანილ საქონლის რაოდენობათა შორის. რუსეთში გერმანიიდან შეტანილი საქონლის რაოდენობა ვერ შეადგენს საკმაო დიდ ნაწილს გერმანიიდან სხვა ქვეყნებში გატანილ საქონლის საერთო ჯამისას. ამ უკანასკნელს თუ მივიღებთ მხედველობაში, რუსეთის წილად მოდის ამ ჯამის 8,7 პროცენტი, საფრანგეთისა—14,2, ინგლისისა კოლონიებით—18 პროცენტი.

ნუ დავივიწყებთ, რომ შემადგენლობა გერმანიიდან რუსეთში გატანილ საქონლისა ისეთია, როგორც რუსეთიდან გერმანიაში გატანილ საქონლისა. უმეტესად გერმანიას რუსეთში შეაქვს ქერი, ქვანახშირი, ტყავი და სხვ.

ზემოდ მოყვანილი ციფრები საკმაოდ გვიმტკიცებს იმას, თუ რამდენად დაშორებულია სინამდვილეს ის აზრი, ვითომ გერმანიას სწყუროდა რუსეთი თვის კოლონიად გადაქცია.

1904 წლის სავაჭრო ხელშეკრულება რომ დაახლოვებით გავიცნოთ, ჩვენთვის შეუძლებელი შეიქნება მტკიცება იმისა, რომ რუსეთი გერმანიის კოლონიაა.

მოკლე გაზეთის სტატიაში შეუძლებელია ამ ხელშეკრულების საგნებით განმარტება. ჩვენი მიზნისათვის სრულიად საკმარისი იქნება აღნიშვნა იმისა, რომ იმ აზრთა წინააღმდეგობაში, რომელსაც ეს ხელშეკრულება ბადებს, გერმანიის მრეწველობა სრულიადაც არ თამაშობს საპატიო როლს. მთელი მისწრაფება გერმანიისა რუსეთის კოლონიად გადაქცევისა ამ ხელშეკრულების ძალით იმაში გამოიხატება, რომ ეს ხელშეკრულობა რუსეთში ხე-ტყის დამუშავებულ მრეწველობას დიდად აფერხებს, ვინაიდან საკმაოდ შემცირებულია გადასახადი რუსეთიდან გერმანიაში გასატან დაუმუშავებელ ხე-ტყეზე, და ამასთანავე საკმაოდ დიდი გადასახადი გერმანიიდან რუსეთში შემოსატან დამუშავებულ ხე-ტყის გასაღებაზე.

ამ ხელშეკრულებას უმთავრესად კიერთი მიზანი აქვს დასახული; ეს არის დაცვა გერმანიის სასოფლო მეურნეობისა. რუსეთის საზოგადოებრივი აზრი სავაჭრო ხელშეკრულების გადასინჯვისა და გადათვალიერების დროს მოითხოვდა გერმანიის სასოფლო მეურნეობის მფარველობითი პოლიტიკის შესუსტებას რუსეთის მრეწველობის მფარველობითი პოლიტიკის შემცირების ფასით. ამგვარი გადასინჯვა ხელშეკრულებისა შეეფერებოდა ეკონომიურ განვითარებას და ხალხის ინტერესებს, როგორც გერმანიაში, ისე რუსეთში.

რუსეთის ბურჟუაზია წინააღმდეგი იყო 1904 წლის ხელშეკრულების ამ გვარი გადასინჯვისა. მას არ აინტერესებდა შემცირება გადასახადებისა რუსეთიდან გერმანიაში გატანილ სასოფლო მეურნეობის ნაყოფებზე, თუ კი ეს შემცირება მოპოვებული იქნებოდა რუსეთის მრეწველობის დამცველი საზღვრების შესუსტებით და საზღვარგარეთის კონკურენციის გაფართოებით. რუსეთის მრეწველობის წარმომადგენლები ამ შემთხვევაში გერმანიის აგრარიებს უწყობდნენ ხელს.

ალ. მდივანი.

ქართველ ქალებს.

ნეტავი მოიპოვებოდეს სიტყვა, ცეცხლის ისრებით აღზნებული, რომ გადვისროლოთ ქართველი ხალხის გულში, ასე ცივად, ნაზვიადად რომ ჰფეთქავს, მოვსპოთ მისი დამღუპველი გულგრილობა და ამის ბადლად მივცეთ მშფოთვარე მოუსვენრობა!

ნეტავი მოიპოვებოდეს საყვირი, გრძნეულის ძალით დაჯილდოვებული, რომ მისი ძახილი ჩასწვდეს ქართველი ხალხის დახშულ, მოდუნებულ სმენას და გააგონოს მას სამშობლოს სასოწარკვეთილი ღაღადი.

ჩვენ პატარა ქვეყნის გარშემო აღგზნებულია მოქალაქობრივი და ერთაშორისო ბრძოლა, წითლად იღებება ველ-მინდორი, ელავს შურისძიებისთვის ამოწვდილი მახვილი, შფოთავს და მობოქრობს ველური ინსტინქტებით გაღიზიანებული ბრბო და აჰა, მალე ჩვენაც დაგვჩხავლებს თავს ყორანი, გაზაფხულის სიოზე ამწვანებულ ველს წითელი ზოლით ააფერადებს ქართველი ხალხის სისხლი; ზარით და გრიალით შეინძრევიან მთები; ლეგვარდ კამკამა ცას გასჭვარტლავს ტყვია-წამლის მუქი ნისლი...

ომი მთელი თავის საშინელებით გვევლინება ანაზდეულად. მაგრამ „ქარსა შინა გამაგრება, ისე უნდა ვით ქვითკირსა"! უნდა გავსალკლდევდეთ, ზეზე წამოვდგეთ. ყველანი ერთად, ერთსულოვნად! ან სიცოცხლე თავისუფალი, ან სიკვდილი სახელოვანი!

და აი აქ ქართველო ქალო, შესრულე შენი მოვალეობა სამშობლოს წინაშე სუსტი ხარ, მაგრამ მაინც ბევრს გააკეთებ: შემოიკრიბე შენი სულიერი, ფიზიკური ძალა და აძლიე დაიდექი მამაკაცის გვერდით სამშობლოს გადასარჩენად. თუ ეხლა არ უღალატებ შენ ადამიანურ ღოვალეობას, მომავალი ღირსეულად დააფასებს ამაგს და იქნები თავისუფალი, სწორი თავისუფალთა შორის:

აინთე ძლიერის ცეცხლით, შეუძრავი მთა-მინდორი სასოწარკვეთილი კივილით: სამშობლო ჩვენი ილუპება, ვაჟკაცნო, მამულიშვილნო, ოდით, შემოკრბით! სოფლად, თუ ქალაქად მოჰფინე ეს შეძახილი სიტყვები და უკმად, უკვალოდ არ ჩაივლის შენი ძახილი, ხმები ვედრება.

მოუწოდე ვაჟკაცთ საბრძოლველად და შენც გვერდში ამოუდექი მას, ხელი შეუწყე. არ უნდა მოაკლდეს დაჭრილს, დაკოდილს ზრუნვა და მოვლა არ უნდა მოაკლდეს წამალი, არ უნდა მოაკლდეს მეომარს საჭმელი, სამოსი... და ყველა ამაზედ შენ უნდა იზრუნო. ამისთვის საჭიროა შეკავშირება, დარაზმვა. ყველა ქართველი ქალი ვისაც შეუგნია დღევანდელი საბედისწერო წუთი უნდა შევერთდეთ, ხელი-ხელს მივცეთ და ენერგიული მუშაობით შევუდგეთ ამ ძნელ საქმეს. ტფილისში ეს ერთი თვეა რაც არსებობს ქართველ ქალთა მშრომელი რაზმი, რომელიც ავად თუ კარგად მაინც პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას. ამ რაზმის კომისია მოგიწოდებთ, ქართველნო ქალებო შემოგვიერთდით. ჩაეწერენით წევრად გააძლიერეთ რაზმი რიცხვით, რათა ამით გაძლიერდეს მისი საქმიანობაც, საქმე ბევრია და მეტად საჭირო ნულარ დააყოვნებთ მოდით დღესვე.. ცნობების მიღება და რაზმში წევრათ ჩაწერა შეიძლება ეროვნულ საბჭოში, განათლების სექციაში მსახურ, ხარებაშვილის ქალთან. დილის 11 საათიდან-2 საათამდე. ქართველ ქალთა მშრომელი რაზმის კომისია.

საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიაში

სამშაბათს, 13 მარტს შესდგება კუკიის წმ. ნინოს უბანში მცხოვრებ სოც.-ფედერალისტთა და თანამგრძნობთა კრება. მოწვეულია ლექტორი მთავარ ბიუროდან. კრება დანიშნულია საღამოს 6 საათზე წმ. ნინოს სამრევლო სკოლის შენობაში.

—

დღეს, სამშაბათს 13 მარტს შესდგება კუკიის წმ. ნინოს უბანში მცხოვრებ სოც. ფედერალისტთა და თანამგრძნობთა კრება წმ. ნინოს ეკლესიის სკოლის შენობაში საღამოს 6 საათზე. მოწვეულია ლექტორი ს.-ფ. მთავარი კომიტეტიდან.

ბათომის ამბები

გაზ. „კავკაზი" გვაწვდის ზოგიერთ საყურადღებო ცნობას ბათომის ამბების გამო. 5 მარტის ამბავს გამო 6 მარტს ცირკის—„ინტერნაციონალის" შენობაში უნდა მომხდარიყო მეზღვაურთა კონფერენცია. იმავე დღეს „რკინის გზის თეატრში" დანიშნული იყო იმავე მიზნით სავაჭრო ფლოტის მეზღვაურთა კონფერენცია სეიმის წევრთა მონაწილეობით. მაგრამ ორივე კონფერენცია შეერთდა ცირკის შენობაში სადაც კამათმა მკაცრი ხასიათი მიიღო.

კრება გახსნა სეიმის წარმომადგენელმა რამიშვილმა. ორატორი (რამიშვილი) აღნუსხავს სამხედრო ფლოტის უარყოფით მხარეებს და ამტკიცებს, სამხედრო ფლოტი, როგორც ასეთი, უკვე აღარ არის. შემდეგ იგონებს ოსმალოს მოთხოვნილებას და იმ დახმარებას, რომელიც შავი ზღვის ფლოტს უნდა აღმოეჩინა. მაგრამ ფლოტი ამის ნაცვლად აპირებდა ოსმალეთისთვის მიეყიდა ყველაფერი. ვაჭრობა გაჩაღებული იყო, როცა კრეისერი „გეფენ კარლოსი" შევიპყრეთ: კრეისერზე ბევრი უცხოელი აღმოჩნდა. ამის გამო საჭირო იყო მტკიცე ზომების მიღება ჩვენაც ოპერაცია მოვახდინეთ, რომელსაც მსხვერპლი არ ჰქონია. კრეისერის დაპყრობის დროს შევიპყრეთ სავაჭრო ფლოტის მეზღვაურები მაგრამ შემდეგ გავანთავისუფლეთ. ყველა მეზღვაურს ზარალი აუნაზღაურდება. მომხსენებელი აღნიშნავს იმასაც, რომ „მეფე კარლოსმა" თავის დროზე თავი მიანება საზავო დელეგაციის ტრაპიზონში და იმწამად ჰყავდა ჩვენ მოწინააღმდეგეებზე საიდუმლოთ და სამხედრო 6 ვიჯე.

განმარტებას იძლევა კრეისერ „მეფე კარლოსის" მეზღვაური. იგი ამბობს, რომ დიდი ჯაფა დაატყდა თავს მეზღვაურებს. თვეკიდან ვამოგზავნის ტრაპიზონიდან იგი იმით ხსნის, რომ ხავთი და წყალი შემოაკლდათ და ამიტომ ბათომისაკენ გამოეშურნიელდით. უკან წასვლა აღარ გვ ნდოდა და მეორე ტრანსპორტის გაგზავნას ვითხოვდით. საზავო დელეგაციამ მეზღვაურებს 10 000 მანეთი აჩუქა, თუ ცალით უარი განაცხადეს, დელეგაციამ მაინც გადასცა შტაბს კაპიტანს.

ტომით უხვად აჯ ლდ ვებენ ცენტროფლოტის თავჯდომარის ამხანაგს, რომელიც აცხადებს, რომ ცენტროფლოტმა გაასაჯარა მხარი მისცეს ამიერკავკასიის ბათომის დაცვაში, სევასტოპოლში დაარსდა რევოლუციის დამცველი კომიტეტი, რომელიც სახალხო კომისრების საბჭოს არ ემორჩილება და ბრძოლის განგრძობის მომხრეა. იგი სთხოვს ამიერკავკასიის სეიმს გაჰგზავნოს თავის წარმომადგენელი კომიტეტში. უკანასკნელი ახალის აძლევს ამიერკავკასიას ახალი ტიპის ნაღმოსნის და კრეისერის „მერკურის ხოვნა"-ს გამოგზავნით, მაგრამ ამას და ბრძოლება გადაელობა წინ, რადგან ხალხი სამინისტრო კომანდისთვის არ არის.

უკანასკნელი სიტყვა ეკუთვნის მომხსენებელს რამიშვილს, რომელიც ცენტრო-ფლოტის წარმომადგენელს ძიესალმევა და მოუწოდებს არ დაიდგან გერმანულ იმპერიალისტების და ოსმალეთის ფაშების უღელი.

შემდეგ ამისა კონფერენცია იხურება და იხსნება სავაჭრო ფლოტის მეზღვაურების კონფერენცია.

ყველა ორატორი დატუსაღებულ ამხანაგების განთავისუფლებას მოითხოვს, მოითხოვს აგრეთვე ზარალის ანაზღაურებას და წართმეულ ნივთების და ფულის დაბრუნებას. ზოგიერთი ორატორი სასტიკად აკრიტიკებდა ამიერკავკასიის კომისარიატს და ზოგიერთ ამბებს ადარებდა შამხორის და ალექსანდრეს ბაღში მიტინგის დარბევას.

ცენტრო ფლოტის თავმჯდომარის ამხანაგი აღნიშნავს, რომ ნაღმოსან „სტრემიტელნი" წასვლა და დაზიანება ცენტროფლოტის სულიერ განწყობილებას შეცვლის და რომ შესაძლებელია „ვოლიას" მოსვლა. ამიტომ ითხოვს ულტიმატიური მოთხოვნილება იქნეს გამოტანილი შესახებ დატუსაღებულ ამხანაგების განთავისუფლებისა და წართმეულის დაბრუნებისა.

დამახასიათებელი სიტყვა სთქვა კონფერენციის თავმჯდომარემ, რომელიც არ მალავდა ფლოტის ვაჭრობას. ერთმა ბერძენმა შემაჯამებ ნიო— ამბობს იგი—რომ კომანდა მას ჰყიდის თავის გემსაო. ბოლოს მოუწოდებს მეზღვაურებს გულგრილად და გონიერად აწონ-დაწონონ მომხდარი ამბები.

დაბოლოს ერთხმად მიიღებულ იყო რეზოლუცია, რომლითაც მოითხოვენ მეზღვაურების განთავისუფლებას, ზარალის ანაზღაურებას, უშიშროების გარანტიას და უფლებას წავიდნენ იქით, საცა მოისურვებენ და იმ ტრანსპორტზე, რომელსაც შემდეგ საბჭო დაანიშნავს.

წერილი ფშავეთიდან

1918 წ. მარტის 5 დღეს, ჩვენ, ფშაველები, შავ ფშავის [illegible] საზოგადოების მცხოვრებნი [illegible] და ჩვენი სამშობლოს [illegible] მდგომარეობა [illegible]. ჩვენ, ფშაველები, მოვითხოვთ რათა დაუყონებლივ მოწვეულ იქმნას სრულიათ საქართველოს ეროვნული დამფუძნებელი კრება. ამ კრებამ უნდა გადასწყვიტოს საქართველოს სახელმწიფოებრივი მმართველობა, ხალხოსნური მთავრობა, რომლის ბრძანებას და განკარგულებას უნდა ემორჩილებოდეს მთელი საქართველოს ერი; ამ მიზნის განსახორციელებლად—მოვითხოვთ საქ. დროებითი ეროვნულ საბჭოსაგან—მოახდინოს ჯეროვანი განკარგულება.

2). ჩვენ გვსურს, რომ საქართველოს და სხვა ერთა ქვეყნების შორის დამყარებულ იქმნას ძმური კავშირი.

3). აი ეს ერთი წელიწადია რაც თავისუფლების წითელი დროშა აფრიალდა და ამის და მიუხედავათ, როგორც ნიკოლოზის დროს, უცხო ენაზე სწარმოებს საქმეების გარჩევა და გარჩევა ყველა მთავრობის დაწესებულებაში, როგორც ძველად, ხლაც რკინის გზაზე გამეფებულია უცხო ენა და ჩვენ ისეთივე ყრუები ვართ, როგორც წინად; იმის უფლებაც კი არ მოგვეცა, რომ ფოსტა-ტელეგრაფში შეგვეძლოს ჩვენს სამშობლო ენაზე „ადრესების, მისამართის დაწერა და დეპეშების გაგზავნა, ეს დიდი უსამართლობაა; გარდა ამისა, ამიერკავკ. ყველა ერს, თავის (ტერიტორიაზე) მიწა-წყალზე, უფლება უნდა მიეცეს თავის საკუთარ ენაზე მთავრობის და საზოგადო დაწესებულებებში, ყოველივე საქმეები, ამიტომ მოვითხოვთ, დრ. ეროვნულ საბჭოსაგან, ამ გარემოებას მიაქციოს დიდი ყურადღება და ამ ჩვენს კანონიერ მოთხოვნილებებს ჯეროვანი ანგარიში გაუწიოს.

ყრილობის თავმჯდომარე **ხატიხო თათარაშვილი.**

(შემდეგი იქნება)

ქართულ უნივერსიტეტის სტუდენტთა ცხოვრება.

ქართულ უნივერსიტეტის გახსნასთან ერთად, დიდი სამუშაო ასპარეზი იშლება ქართველ სტუდენტთა წინაშე. ცხადია, მარტო იმის თქმა, რომ ქართული უნივერსიტეტი გვხსნილი გვაქვს, კიდევ არ ნიშნავს უნივერსიტეტის გამოყენებას. ამასთანავე, არც ზედმეტი და არც დასაძრახი უნდა იყოს, რომ ჯერ ჩვენ არაფერიც არ მოგვეპოვება აკადემიურ ცხოვრების სასურველ ნიადაგზე დასაყენებლად. და მართლაც, ჩვენი უნივერსიტეტის დადებითი და უარყოფითი მხარეები მთელი თავისი სიგრძე-სიგანით აშკარად იშლება მისი მსმენელების წინაშე, მხოლოდ ქართული უნივერსიტეტის სტუდენტობა გრძნობს ყოველივე ამის ნაკლს და ამიტომ არც შეუძლიან არ ამოქმედდეს და მთელი თავისი ძალღონით არ ეცადოს ყოველგვარ ნაკლის შევსებას და საერთოდ მთელი სტუდენტობის ცხოვრების მოწესრიგებას. ამისათვის აუცილებელი იყო მისთვის შეკავშირება, ერთი ხელმძღვანელი ორგანოს ამორჩევა და ყოველივე საქმის გაძღოლა; ამ მიზნით პირველ საერთო კრებაზე არჩეულ იქნა დროებითი გამგეობა, რომელსაც დაევალა პროვალი სხვა და სხვა საორგანიზაციო საკითხის მოგვარება და საზოგადო კრების მოწვევა.

დროებითმა გამგეობამ მოიწვია სტუდენტთა და მსმენელთა საზოგადო კრება კვირას, 18 თებერვალს. კრება გაიმართა ქართულ უნივერსიტეტის დარბაზში. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ამხ. წუწუნავა, მის ამხანაგად—ამხ. მონიავა. მდივნად—ამხ. შ. ვადაჭკორია. დროებითი გამგეობის მიერ წარმოდგენილი იყო შემდეგი დღიური წესრიგი: 1) გამგეობის მოხსენება, 2) განხილვა და დამტკიცება ქართულ უნივერსიტეტის სტ. კავშირის წესდებისა, 3) რიგს გარეშე განცხადება ამხ. ქ. გამსახურდიასი, 4) არჩევნები გამგეობისა. ეს წესრიგი კრებამ მიიღო.

გამგეობის მოქმედების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ქ. გამსახურდია. იგი ეხება სამ საკითხს: ლექციების ბეჭდვა გამოცემას, ბინის (სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი) საკითხს და გამგეობის ორგანიზაციას. პირველი საკითხის შესახებ იგი აღნიშნავს იმ სიძნელეს, რომელიც თანა სდევს არსებულ მომენტში ეხვეჭვითი საქმეს; ამიტომ საჭიროთ მიაჩნია მოეწყოს ლექციების გამოცემის საქმე ისე, როგორც სასურველია. ერთადერთი რაც გააკეთა ამ სფეროში დროებითმა გამგეობამ, ეს არის ის, რომ იშოვა ორი კაცი, რომლებიც სწერენ ლექციებს და მერე იქნება დაბეჭდილი. იგი მოუწოდებს ამხანაგებს, თუ არიან მსურველები, სწერონ ლექციები და მით თავისი სურვილი გააცხადონ გამგეობას. ბინის საკითხის შესახებ მომხსენებელი ამცნობს კრებას, რომ ბინა, რომელიმე ოთახისაგან შემდგარი ნაშოვნია და მსურველებს შეუძლიანთ ჩაეწერონ და გადავიდნენ. ამასთანავე

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნავს, რომ გამგეობამ შეიმუშავა წესდება, რომელსაც ამ კრებაზე განვიხილავთო. გამგეობის ორგანიზაციის შესახებ იგი აღნიშნავს, რომ იყო თათბირი ფრაქციების წარმომადგენლებისა შეთანხმების შესახებ, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი არ მოხდა. ამიტომ კრებას აძლევს წინადადებას მან გამოარკვიოს სისტემა არჩევნებისა. სტ. კავშირის წესდების შესახებ მცირე მოხსენებას აკეთებს ამხ. გ. ხმალაძე. შემდეგ კითხულობს წესდების პროექტს. წესდების ზოგიერთ მუხლის განხილვა საშინელ უთანხმოებას იწვევს, ამიტომ კ. გამსახურდია იძლევა წინადადებას აირჩეს კომისია, რომელიც ხელახლა გადასინჯავს პროექტს წესდებისას და შემდეგში წარმოუდგენს კრებას დასამტკიცებლად. ამ წინადადებას ღებულობს კრება.

კრება გადადის მორიგ საკითხზე. კომისიის არჩევა გადაიდო ბოლოსთვის.

რიგს გარეშე მოხსენებას აკეთებს ამხ. კ. გამსახურდია. იგი ეხება არსებულ რთულ მომენტს, რომელშიაც იმყოფება სამშობლო. მოუწოდებს ყველა ჯანსაღ მსმენელებს ჩაეწერონ ეროვნულ ჯარებში. დასასრულ კრებას უდგენს რეზოლიუციას, რომელიც ერთხმად გადის: „ქართული უნივერსიტეტის სტუდენტთა საზოგადო კრებამ მოისმინა რა მოხსენება ამხ. კ. გამსახურდიასი მომენტის შესახებ, დაადგინა, ყველა ქართველი სტუდენტი, ვისაც იარაღის ტარება შეუძლია, დაუყონებლივ ჩაეწეროს ეროვნულ ლაშქარში.

დიდ კამათს იწვევს სისტემა არჩევნებისა. ამხ. კ. გამსახურდია სოც.-ფედ. სახელით იცავს პროპორციონალურ არჩევნებს, როგორც უაღრეს დემოკრატიულ პრინციპს. სოც.-დემ. სახელით შ. იოსელიანი იცავს პარიტეტულ პრინციპს. იგი ამბობს: „მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ აქ, უნივერსიტეტში ცოტანი ვართ, სამაგიეროდ ყველა სხვა დაწესებულებაში ჩვენ უმრავლესობას წარმოვადგენთ და რომელსაც სხვა და სხვა საკითხებზე უნივერსიტეტის გამგეობას მოუხდება მიმართვა მათდამი და ესენი კი სოც.-დემ. იქნებიან [illegible] უფრო ადვილი იქნება საქმის [illegible]ვარეგაო. ამის შემდეგ კრება აძლევს საშუალება მიეცეთ ფრაქციის წარმომადგენლებს გამოსთქვან თავიანთი აზრი, თანაც ჩაეთვალოს შ. იოსელიანს სიტყვა. ზ. ჩიხლაძე ნაც.-დემ. სახელით ს.-დ. ერთად იცავს პარიტეტულ პრინციპს. ამავე პრინციპს იცავს რად.-დემ. წარმომადგენელი. სიტყვა ეძლევა კ. გამსახურდიას, რომელიც სოც.-ფედ. სახელით იცავს პროპორციონალურს პრინციპს და თანაც უპასუხებს შ. იოსელიანს. იგი აღნიშნავს სოც.-დემოკრ. მანასეობას და ამბობს, რომ როდესაც სოც.-დემ. ინტერესი მოითხოვს, ისინი ჯიბეში იდებენ თავიანთ დემოკრატობას და [illegible] სულ სხვარიგად. ჩვენ გვახსოვს დავა ატეხილი წ. კ. გ. საზ. გარშემო, რომელიც ყველა პარტიისთვის ერთნაირად საინტერესოა და პარტიულ სულს აქ ასპარეზი არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ სოც.-დემ. ბევრი ხრიკები იხმარეს გაეყვანათ აბსოლიუტიური უმრავლესობა. (ისმის ტაში).

შემოდის წინადადება მოისპოს კამათი. უყრიან კენჭს პროპორციონალურს და პარიტეტულს და პირველი დიდი უმრავლესობით მიღებულია.

კრება 5 წამით სწყდება, რათა საშუალება მიეცეთ ფრაქციის წარმომადგენლებს ითათბირონ. განახლების დროს ნაც.-დემოკრატები აცხადებენ რომ რადგანაც 3 პარტია ხედავს, უფლების შელახვას ერთი პარტიის მიერ, ჩვენ არჩევნებში მონაწილეობას არ ვიღებთ და დემონსტრატიულად სტოვებენ დარბაზს.

შ. იოსელიანი სოც.-დემოკ. სახელით აცხადებს, რომ ისინი მაინც დარჩებიან და იმუშავებენ უნივერსიტეტში, თუ გინდ ერთი კაცის მეტიც ვერ გაიყვანონ. (ამ განცხადებას ტაშის ცემით შეხვდა დარბაზი) მხოლოდ რადგან ერთმა პარტიამ დასტოვა კრება და [illegible] გვიან არის გადაიდვას კრება სამშაბათისათვის, მანამდის კიდევ მოხდეს ფრაქციების თათბირი შეთანხმების შესახებ. კრება გადაიდვა სამშაბათისათვის.

სამშაბათს 20 მარტს, ლექციების შემდეგ მოხდა კრების გაგრძელება ფრაქციათა თათბირის თავმჯდომარე ამხ. დ. მგალობლიშვილი კითხულობს მცირე მოხსენებას თათბირის შესახებ და აღნიშნავს, რომ შეთანხმება კიდევ არ მოხდა.

შ. ვალიკორია სოც.-ფედ. სახელით ამბობს დარჩეს ძველი დადგენილება კრებისა სისრულეში და შეუდგეთ არჩევნებს.

რამიშვილი სოც.-დემ. სახელით აცხადებს, რომ მათი ფრაქცია გამოგზავნის გამგეობაში მხოლოდ ერთ კაცს ინფორმაციისთვის.

მხოლოდ ძლიერ კომიკური შეიქმნა ნაც.-დემოკ. მდგომარეობა. რომ ვერაფერი მოახერხეს, გაბრაზებული განაცხადეს, არც წავალთ და არც მონაწილეობას მივიღებთ არჩევნებშიო. აროშიძე რად.-დემ. ამბობს, რომ, რადგანაც ორი პარტია უარს ამბობს როგორც პარიტეტულ, ისე პროპორციონალურ პრინციპზე, მოხდეს პერსონალური არჩევნებიო.

ამხ. დ. მგალობლიშვილი აცხადებს, რომ კრებამ მიიღო პროპორციონალური პრინციპი არჩევნებისა, ამიტომ სეხლმეორედ არჩევნებზე ს.-ფ. ფრაქციის სახელით უარს ამბობს. იგი უპასუხებს რამიშვილს, რომელიც პარტიულ ქინიანობას აწერდა სოციალისტ-ფედ. და აღნიშნავს იმ ფაქტებს, როდესაც სოციალ-დემოკრატები სწორედ პარტიულ ქინიანობას იჩენდნენ ისეთივე დაწესებულებებში, როგორიც ჩვენი უნივერსიტეტის გამგეობაა, მაგალითისათვის მგალობლიშვილს მოჰყავს მრავალი ჩვენი კულტურული დაწესებულებები და უკანასკნელად ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის არჩევნები, რომლის დროსაც სოც. ფედერ. წინააღმდეგ გამოვიდა სანაქებო ბლოკი ჩვენში არსებულ სამი მიმართულებისა და აქ ს.-დ. არა თუ პროპორციონალური პრინციპი არ დაიცვან არამედ პარიტეტულიც უარყვეს და 22 ხმის უმეტესობით ბლოკმა მთელი თავისი სია გაიყვანაო. მაგრამ, დასძენს მგალობლიშვილი, ჩვენ ამხანაგებს ზურგი არ უჩვენებია უნივერსიტეტისთვის და ისინი სიამოვნებით კითხულობდნენ ლექციებს თავის დროზე. აქ კი ნება მომეცით ეჭვი შევიტანო იმ პარტიების გულწრფელობაში, რომლებიც ვითომ და საქმის სიყვარულით გატაცებულნი მოითხოვენ გამგეობაში თანასწორობას, მაგრამ თუ ეს არ მოხდა დარბაზს სტოვებენ და სახლში გარბიან გაჯავრებულნი. შემოდის წინადადება მოისპოს კამათი. კრება მას ღებულობს.

თავმჯდომარე უკანასკნელად მოუწოდებს ფრაქციებს წარმოადგინონ სია კანდიდატებისა.

სოც.-ფედ. გარდა სია არავის არ შემოაქვს. პროპორციის მიხედვით ადგენენ 12 კაცის სიას (გამგეობა შესდგება 20 კაცისაგან), რომლიდანაც ერთ ადგილს სოც.-ფედერალისტები უთმობენ რად.-დემ. სამი სარევიზიო კომისიაში, აქედგან ერთი ადგილი რად.-დემ. სხვა ფრაქციებს აძლევენ წინადადებას სამი დღის განმავლობაში წარმოადგინონ სია და შეავსონ გამგეობა. უკეთუ არა, შევსებული იქნება სოც.-ფედერალ. კრება ამით იხურება.

დანი.

ახალი საზოგადოება

ამას წინად ქ. ქუთაისში შესდგა საორგანიზაციო ბიურო ტეხნიკურ ძალების შეკავშირებისა, დროებით თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოს ინჟინერი ბ. გამსი. პირველ სხდომაზე გაგზავნილ იქმნა ტფილისში დელეგატი 24 იანვარს განზრახულ ერთ-ერთ ტეხნიკურ საზოგადოების კრებაზე; არჩეულ დელეგატს მიენდო გაეცნობოდა ტფილისში ყველა ტეხნიკურ ძალთა ორგანოს, რათა ამის მიხედვით შევუმუშავებინა ჩვენი წესდება. დელეგატის დაბრუნებისას ქუთაისის გუბერნიის ტეხნიკურ ძალთა კრება დანიშნულ იქმნა 2 მარტისათვის (მეორედ), კრებას თავმჯდომარეობდა ბ. გამსი (საორგანიზაციო ბიუროს დროებითი თავმჯდომარე), კრებამ ხმის უმრავლესობით გადაწყვიტა გაეცნოს პირველ ყოვლისა დელეგატის მიერ ჩამოტანილ ცნობებს.

გაიმართა კამათი, მსჯელობაში გამოირკვა რომ ტფილისში არსებულ ქართველ ტეხნიკურ საზოგადოებას მიზნად აქვს დასახული საქართველოს ტერიტორიაზე მომქმედ ტეხნიკური ძალების შეკავშირებით, უშველოს მეურნეობით ჩამორჩენილ საქართველოს, რაც შეიძლება მეტი კავშირი იქონიოს ქალაქ-სოფლებში ხალხთან, და მათთან ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებული მოაგვაროს ის საქმეები, რომელნიც ასე საჭიროა ჩვენ დაბა-ქალაქებისათვის. გამოირკვა ისიც, რომ არსებულ ამიერკავკასიის „ინტერნაციონალურ“ ტეხნიკურ საზოგადოებას მიზნად აქვს დასახული აწ განადგურებული და დაშლილი ფრონტის საინჟინრო დრუჟინების ძალებს თავი მოუყაროს ვიწრო პროფესიონალურ კავშირში, რითაც უზრუნველყოფენ მარტოდ მარტო თავის არსებობას. კრებამ იქონია რა მსჯელობა ამ ორი ტეხნიკური საზოგადოების მიზნებზე, გამოიტანა შემდეგი დასკვნა: ვიღებთ რა მხედველობაში ამიერკავკასიის და კერძოდ საქართველოს ასეთ საბედისწერო გასაჭირში ჩავარდნას, რომ ხანგრძლივმა ომმა გაანადგურა და ძირს დასცა მთელი ჩვენი მხრის ეკონომიური და ტეხნიკური ძალა, ემხრობა პირველი საზ—ბის, ე. ი. ქართული ტეხნიკურ საზ—ბის ქუთაისის გუბერნიის განყოფილების დაარსებას, რომ ამით მჭიდრო კავშირი იქონიოს დემოკრატიასთან, მშრომელ ხალხთან და მათი დახმარებით შესძლოს ახლავე გზების, არხების, განათების და სხვა და სხვა საქმეების გაკეთება. თავმჯდომარე ბ. გამსი და მისი ამყოლი ინჟინერი ბ. კუზნეცოვი არ ემხრობიან რეზოლიუციას და სტოვებენ კრებას იმ იმედით, რომ ჩვენ ჩვენსას მაინც დავადგენთო; მათ ჰყავდა ორიოდე რუსი ტეხნიკოსი, დიდმა უმრავლესობამ კი (24 დან 18-მა) განაგრძო კრება, ამათ შორის რუსებმაც და სომხებმაც. არჩეულ იქმნა თავმჯდომარედ კრებისა ამხ. მიხ. ყაუხჩიშვილი; მან მოკლედ დაასურათა აწინდელი მდგომარეობა ჩვენი ქვეყნისა, და მოუწოდა კრებას მხნედ ჩასდგომოდა ამ განახლებულ საზ—ბას, რათა ყოველ წევრს თითო აგური მიეტანა ერის შენობისათვის; კამათის შემდეგ გამოტანილ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია: ვინაიდან აწ დაარსებულ ქუთაისის გუბ. განყოფილებას ქართულ ტეხნიკურ საზ—ბისას მიზნად არა აქვს დასახული ვიწრო ნაციონალური და პროფესიონალური ინტერესები, ეთხოვოს ამიერკავკასიის ტეხნიკურ ძალების კავშირის ქუთაისის განყო—ბის მზრუნველთ ნუ გამოეყოფიან ამ საზ—ბას და ისედაც ჩვენს ცოტა ტეხნიკურ ძალებს ნუ დაგვაქსაქსავთ, არამედ ხელი ხელ ჩაკიდებულნი ვეწიოთ საერთოდ ერის ჭაპანს.

შემდეგ არჩეულ იქმნა 5 კაცისაგან დროებითი ბიურო, რომელიც გამოსძებნის კავშირისათვის ბინას და მოკლე ხანში მოაწყობს საორგანიზაციო კრებას ქუთ. გუბ. ტეხნიკურ ძალებისას. ბიუროში არჩეულ იქმნენ ინჟინრები 1. მიხეილ ყაუხჩიშვილი (თავმჯდომარე) 2. ალექ. ლორთქიფანიძე (თანაშემწ.). 3. სერგო [illegible], 4. ტად. ჯაფარიძე, 5. ტეხნიკოსი ლევან მიქელაძე (მდივანი) და 2 მათი კანდიდატი: ინჟინრები ბ. ბ. [illegible]ლი და ჩხეიძე.

ლეო ჯავახელი.

მოწერილი ამბები.

თელავი[*]) ისე არას დროს არ მზარებია თელავის ცხოვრებაზე წერა, როგორც ეხლა. აბა რა უნდა ვთქვა კარგი, როცა არ დაგვინდეს ჩვენმა ძმებმა, ჩვენმა შვილებმა, რომელთაც ასე ვზრდიდით, ვუალერსებდით და დიდ იმედებს ვამყარებდით.

სწორედ ამისთვის იყო, თელავში დასაზამთრებლად რუსის ჯარი აპირებდა მოსვლას, ყველა ერთმანეთს ვეცით, ქალაქის საბჭო, აღმასრულებელი კომიტეტი და კომისარიატი, მთელი დელეგაცია გავგზავნეთ ტფილისში, ვთხოვდით ამათ მაგიერ გამოგვზავნეთ ჩვენივე ხალხი, ქართული პოლკი.

რუსის ჯარი (ამ ყარსის პოლკის ერთი ბატალიონი, რომელმაც აქტიური მონაწილეობა მიიღო აქედან ჩასვლის შემდეგ ტფილისში ბოლშევიკების გამოსვლის დროს) მაინც მოვიდა თელავში. ყველა შიშის ზარმა მიტანა და ვინ იცის რას არ მოელოდნენ მისგან, მაგრამ რა დააშავეს? არაფერი. ომში ყოფნით სამი წლის განაწვალებ სოლდათების დანაშაულობა მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ ღვინოს გადაჰკრავდნენ და მთვრალები ყაზარმაში ბარბაცით მიდიოდნენ. ეს იყო და ეს, მცხოვრებთ კი მაინც ეშინოდათ ისე უყურებდნენ როგორც ბოლშევიკებს და მაინც ზოგი დარბევის მოლოდინში იყო, მაგრამ არ გასულა დიდი ხანი, ჯარის კაცებმა გამოუცხადეს უფროსებს, არ მოგვწონს თელავი, ტფილისში უნდა წავიდეთო, მართლაც მეორე დღეს ჩავიდნენ რკ. გზის სადგურზე, გადმოსხეს მგზავრები და გაემგზავრენ ტფილისისაკენ.

შეიძლება ეს ბატალიონი სულ არაფერს დააშავებდა, მაგრამ მაინც თელავის მცხოვრებლებმა თავისუფლად ამოისუნთქეს და მოუთმენლად ელოდებოდით ქართულ პოლკს, რომელიც თელავის ყაზარმებში დაბინავებულიყო.

მოვიდა, აწ უკვე რომ ვსთქვათ აქვე დაარსდა მერვე ქართული პოლკი და ჩვენ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ჯერ ერთი, ქართული ჯარის ეროვნული დავინახეთ და მეორე, ჩვენი ძმები, აქ—თელავშივე იმსახურებდნენ, თავის სახლ-კართან ახლოს იქნებოდნენ და თავის ნებით წამოსულს სახლში ე. ი. „დეზერტირობას“ ადგილი აღარ ექნებოდა, მაგრამ მწარედ ვცდებოდით თურმე და სიხარული მწუხარებად იცვლებოდა.

ქართული პოლკი-კი დაარსდა, მაგრამ თურმე გვიან იყო. თავის დროს ყურადღება ნაკლებად მიაქციეს ჯარის ნაციონალიზაციას და მერე, როცა ქართული ჯარი რუსის ყაზარმებში მოიზიდა და მთლად მოიწამლა ბოლშევიკების ზედგავლენით, დაგვიანებული აღმოჩნდა და ამიტომაც შეიქმნა ყოველივე ცდა საქმის გასასწორებლად...

ქართველი ჯარის კაცებმა თავიდანვე უწესოდ დაიწყეს ქცევა. ხიარულით სიარულს ღვინის სმას, შუა ქალაქში ეტლით და არღნით სეირნობას და ჩხუბს დასასრული არა ჰქონდა. უსაგნოდ სროლა ხომ შიშის ზარსა სცემდა მშვიდობიან მცხოვრებთ. ჩვენ არ ვამბობთ რომ მთელი პოლკი ასეთი შემადგენლობისა იყო, პირ-იქით ბევრი შეგნებული ჯარის კაცი ერია, მაგრამ ესენი ვერაფერს აწყობდნენ. ვინც თავდაუჭერლად იქცეოდა, სხვებსაც იყოლიებდნენ და ყველა [illegible]...

ქართველ ჯარის კაცთა და მილიციონერების შორის ხომ პირველ-დღეს [illegible] 18 [illegible] კომისარიატის [illegible] დაიწყეს.

ამ დღიდან ქალაქში არავითარი მოძრაობა აღარ ხდებოდა, ვიდრე ტფილისიდან ჯავშნიანი ავტომობილით წითელი რაზმი არ ჩამოვიდა, რომელმაც ძლიერ მალე ქალაქში წესიერება აღადგინა.

მიუხედავად წითელი რაზმელების მეცადინეობისა, რომ სისხლი არ დაღვრილიყო, მაინც მოხდა სროლა ორივე მხრივ. ამ სროლას სამწუხაროდ მსხვერპლი მოჰყვა წითელ რაზმელების მოუკლეს ერთი საუკეთესო ამხანაგი და მეორე მძიმედ დაუჭრეს, ხოლო ჩვენი ამხ. ს. ყაზახაშვილი თავისივე ჯარის კაცებმა იმსხვერპლეს. ამ დახოცილის მწუხარებით და დიდი თანაგრძნობით [illegible] თელავის მცხოვრებნი.

რადგანაც თელავში პოლკი აღარ არსებობს, ამისთვის ადგილობრივ შესდგა წითელი რაზმი, რომელიც განაგრძობს წესიერების დაცვას, როგორც ქალაქში, ისე მაზრაში...

დაუწყებული.

წერილი რედაქციის მიმართ

მოქალაქე რედაქტორო! გიგზავნით 669 მან. და 50 კაპ. და გთხოვთ ეს ფული გადასცეთ ქართულ უნივერსიტეტს.

ამასთანავე უმორჩილესად გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში მოათავსოთ შემდეგი ანგარიში:

ქალაქ სამტრედიის უმ. [illegible] და გიმნაზიის მოწაფეთა ერთმა ჯგუფმა 27 თებერვალს გამართა თავის ძალებით წარმოდგენა, რომლიდანაც შემოვიდა 795 მან. და 50 კ. ხარჯები კი იყო 126 მან. ამნაირად წმინდა შემოსავალი დარჩა 669 მ. და 50 კაპ.

გამგე წარმოდგენისა მოწაფე ჩხიკვაძე.

---

[*]) ეს წერილი დაგვიანებით იბეჭდება.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა

საბუღალტრო კურსები
გ. კ. ტერ-დავიდოვისა
ნიკოლოევის ქუჩა № 36 4 გვ. 1400

ექიმი
თიკანაძე
იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. მისამართი: კიროჩნი ქ. 18, ტელეფონი 11—82. 1003

ქ. კავკავში.
ექიმი რევაზ ალექსანდრე ძე
მაჩაბელი
მიიღებს ყოველ დღე შინაგან, ქალების და ვენერიულ ავადმყოფობისაგან. ქალების მიღება 11—1 ს. კაცებისა 5—7 ს. საღამოის.
სლეპცოვის და მეშჩანურ ქუჩების ქიმი, სახლი პაპუნოვისა. 142

ექიმი კბილისა
ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 ს. ყაზბეგის ქუჩა, 14, კირპიჩნი ქუჩის შესახვევი, 21.

ექიმი
ვ. მუსხელიშვილი
იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე. გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09. 1032

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი
ბ. ბ. მუქრაზიანცი
შინაგან ავადმყოფობა—ფილტვის—[illegible] და გულისა. ახალს რენტგენ-ელექტრო-სინათლის კაბინეტში, გამოკვლევა და წამლობა სხივებით, დიდი სოლლუქსიდი, განსაკუთრებული ნაკადები დ'არსონვალისა შინაგანი სნეულებისთვის, პნევმოტორაქსი. ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამოს 5—7 ს., ბებუთოვის ქ., № 23, ტელეფ. № 7—92. 1036

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა
დილით:
11—12 ს. „606“ და „914“
ავეტეხიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს $11\frac{1}{2}$ ს.
ი. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ. ავადმყ.)
ბ. გ. აგახაროვი: $9\frac{1}{2}$—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
საღამოთი:
ა. ნ. იხაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1010

ექიმი
პავლე [illegible]ღაზიანი
დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან [illegible] და საღ. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, 9 ოთახი. 1002

ექიმი
ზ. გ. ნარიმანოვი
ვენერიულ, კანის, ათაშანგის და მისი შედეგებისა. წამლობა „606“ და „914“ პრეპარატებით. ავადმყოფები მიიღება ყოველ დღე საღ. 5 ნახ. ს.-დან 8 ს.-დე. მიხეილ. ქ. № 83. ტელ. № 16—17. 1008

ექიმი
ნ. გ. მრევლიშვილი
მასწავლებლად ნამყოფი კიევის ქალაქის საბებიო სასწავლებლის და ინტერნად კიევის ქალაქის საავადმყოფოს მიიღებს საბებიოდ საშვილოსნო ავადმყოფთ 4—6 საათზე კვირის გარდა ნიკოლოზის ქუჩა № 22. ვორონცოვის ძეგლის ახლო. 193

ექიმი
კ. ტყეშელაშვილი
[illegible] ავადმყოფი ვენერიული, საშარდე და სასქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეშხაპუნება). საღამოობით $5\frac{1}{2}$—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძე
იღებს საბებიო და საშვილოსნო ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ექიმი
ს. ზ. მირზოევი
უფროსი ორდინატორი ტფილისის [illegible] საავადმყოფოსი, იღებს $1\frac{1}{2}$—$3\frac{1}{2}$ ს., გარდა კვირისა. მისამართი: სერგიევის ქ. № 1. ტელ. 16—87 1009

ექიმი
დ. შარაშანიძე
იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. პავლოვის ქუჩა, № 7. 2180

ექიმი
გ. წინამძღვრიშვილი
უ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და სამედიც. ინსტ.—ის შინაგან სნეულ. გულისა, ფილტვისა და სისხლის კლინიკებისა, სნეულებიანს სპეციალურად. იღებს ავადმყ. დილის 10—12 ს. საღამ. 5—7 საათამდე, ყოველ დღე გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონც. ძეგლ. ახლო, „ბომონდის“ პირდაპირ. 1029

ექიმი
ნ. ი. მახვილაძე
შინაგანი სნეულებანი იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილის 11—12 საათ. საღამოს 4—6 მდე მოსკოვის ქ. № 11. 294

ექიმი
შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმი
გ. მ. მუხაძე
იღებს სადიასტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5—6 ს.-დე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ, სახლი [illegible]

სტამბა
სახალხო საქმე
ტფილისი
ბარონის ქუჩა
№ 14
სტამბა ასრულებს ყოველ
გვარ სასტამბო სამუშაოს
სუფთად, იაფად და თავის
დროზე

სტამბა „სახალხო საქმე“, ბარონის ქუჩა № 14